თავისუფალმა დემოკრატებმა თავიანთი უთუოდ დროისა და პოლიტიკური ვითარების შეუსაბამოდ აჩქარებული ლიდერის კვალდაკვალ მწვავე ცხოვრებისეული გამოცდა ვერ ჩაებარეს. ისინი, დიდად სამწუხაროდ, იმ ცხვრებს დაემსგავსნენ, რომლებიც შედარებით უშიშრად მცურავი გემიდან აბობოქრებულ ზღვაში თან გადაჰყვნენ არცთუ მაინცდამაინც აზრიანად გადამხტარ თავყოჩს იმ იმედით, რომ უიმათოდ გემი თითქოსდა აბობოქრებული ზღვის გამკლავებასა და მიზნისკენ წინსვლას ვეღარ შეძლებდა.

არადა, საქმე ნამდვილად სხვაგვარად არის. ჩვენს საზოგადოებას, რომელმაც ნაციონალთა ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი გამოიარა, მტკიცედ სჯერა, რომ იმ კურსს, ქვეყანამ 2012 წლის 1 ოქტომბერს რომ აირჩია, ვერ შეცვლის ერთი არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე, სულმოკლე ადამიანების ჯგუფის აშკარად მოღალატური განდგომა გადამწყვეტი ბრძოლის ველიდან, როცა ყველაზე მეტად არის საჭირო ერთმანეთის მხარდაჭერა, ერთმანეთის გვერდში დგომა და ჭეშმარიტად დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობა.

ჩვენი ხალხის უმრავლესობის აზრი ასეთია: თავისუფალმა დემოკრატებმა უღირსი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგეს, მხოლოდ და მხოლოდ „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეთათვის გულის მოსაფხანი, და თავიც კარგა გვარიანად შეირცხვინეს.


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 6 ნოემბერი, 2014 წელი.

№226 (7607)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვერი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიერებით ბერეთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

◎ ბარაქალა!

## აი, სახელმწიფოებრივად აზროვნების ჩინებული ნიმუში

გუშინ საღამოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა საგანგებო პრესკონფერენციაზე განცხადება გააკეთა.

**— სრულად ვათვითცნობიერებ,** თქვა მან, **— რომ ჩემი სათქმელი ვერ იქნება საზოგადოების ყველა წევრისთვის დამაკმაყოფილებელი, თავშივე მოგახსენებთ: ის, რაც მოხდა და ხდება, სამწუხაროა. მძიმე ფონზე მაქვს ვალდებულება, ვუთხრა საზოგადოებას, რომ ივანიშვილის და შემდეგ ღარიბაშვილის ყველა მთავრობის თითოეულმა წევრმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა იმაში, რომ საქართველოს თავისი ევროპული არჩევანი გაეტარებინა და ევლო წინ, პროგრესის გზაზე. ამ გზაზე წარმატებით სიარულში იუსტიციის მინისტრმაც შეასრულა თავისი როლი თითოეულ თანამშრომელთან ერთად. 2010 წელს გვერდზე გადავდე ევროპული კარიერა, კომფორტული სიბერემდე, გადავდე ყველაფერი პირადი გვერდზე, დავბრუნდი საქართველოში, რათა წვლილი შემეტანა საქართველოს ევროპამდე მიყვანის საქმეში. მოვხვდი იმ ადამიანების გვერდით, რომლებთანაც მქონდა ერთიანი ღირებულებები, დასავლური ღირებულებები. 2012 წლიდან სათავეში ვუდგავარ იმ სამინისტროს, რომლის თითოეული თანამშრომელი პროგრესით მუშაობს. ვიზალიბერალიზაციის პროცესი წარმატებით დაგვირგვინდა, ამას ევროკავშირმა „ერთი ნაბიჯით წინ ევროპისკენ“ უწოდა...**

**მერე რა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში მე, იუსტიციის მინისტრს, ერთ ქალს მქონია მრავალი სირთულე. მერე რა, რომ თავს ზევით ძალა მომიძებნია, რომ ფეხზე ვმდგარიყავი ან არ ვმდგარიყავი. მე და ჩემს სამინისტროს არასდროს გვქონია ხელშეშლა, გვევლო მთავრობასთან ერთად ევროპულ გზაზე. არც ერთი და არც მეორე პრემიერის მხრიდან, არც მოქმედ და არც უკვე ყოფილ მინისტრებთან აზრთა სხვადასხვაობა ევროპულ არჩევანზე არ ყოფილა. 2012 წელს მოსული ძალა არის ევროპული კურსის ერთგული. ეს გზა არის რთული, ეს არის მთავრობის განუხრელი კურსი, რადგან არ არსებობს საქართველოს მომავალი ევროპული კურსის გარეშე. მანამ მე მაქვს სახელმწიფოსთვის ევროპული მომავლისთვის მუშაობის სრული თავისუფლება, მე და ჩემს გუნდს გვაქვს საშუალება, ვიმუშაოთ, არ მქონია საფუძველი, თქმისა, რომ ჩვენი მთავრობა პროევროპული მთავრობა არ არის. ვრჩებით იუსტიციის სამინისტროში და ვაგრძელებთ მუშაობას საქართველოს სახელმწიფოსთვის.**

ბარაქალა, ქალბატონო თეა! თქვენი ეს სიტყვები და პოზიცია დასტურ არის სახელმწიფოებრივად აზროვნების ჩინებული ნიმუშისა, რაც, სამწუხაროდ, ზოგიერთს, თავს გამობრძმედილ პოლიტიკოსად და საქვეყნო საქმისათვის თავგადაკლულად რომ მიიჩნევდა, არ აღმოაჩნდა!

## საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ მიმართვა საქართველოს მოსახლეობას!

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ 6 ნოემბერს 6 საათზე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დიდ დარბაზში ატარებს გაფართოებულ შეკრებას და იწვევს ყველას, ვისთვისაც ძვირფასი და ხელშეუხებელია ქართული ეროვნული ღირებულებები, დედა-ეკლესია; ვინც აღარ მოითმენს ნაციონალური მოძრაობის აღვირახსნილ პარპაშს, იმ გამუდმებულ მუქარებსა და ყელყელაობას, რაც სამოქალაქო ომის გარდაუვალ წინაპირობას ქმნის. დავდგეთ ერთად, რომ საბოლოოდ დავუსვათ წერტილი საქართველოს გამანადგურებელ ნაცმოძრაობას და მის სატელიტ განშტოებებს!**

**რეზო ამაშუკელი,**
**საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“**

## პოლიტსაბჭოს სხდომა უკომენტაროდ დატოვეს

**გუშინ გამართული კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა ბიძინა ივანიშვილმა და პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უკომენტარიოდ დატოვეს.**

**კომენტარი კოალიციის არც ერთ წევრს არ გაუკეთებიათ, გარდა ზვიად კვაჭანტირაძისა. მან აღნიშნა, რომ კოალიციის ერთიან მუშაობას არავითარი საფრთხე არ ემუქრება და იგი კვალვაც შეუფერხებლად გაგრძელდება. იგი იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის გადაწყვეტილებას აფასებს, როგორ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანის პოზიციას. ზ. კვაჭანტირაძე მთავარი გასასვლელიდან გავიდა, ხოლო დანარჩენმა წევრებმა, როგორც დაცვის თანამშრომლებმა მედიას განუმარტეს, ტერიტორია უკანა გასასვლელით დატოვეს.**

# შეიარაღებული ძალების განვითარების კურსი უცვლელი დარჩება

**თავდაცვის ახალი მინისტრის მინდია ჯანელიძის განცხადებით, „შეიარაღებული ძალების განვითარების კურსი უცვლელი დარჩება და ჯარი პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალი იქნება“.**

ამის შესახებ ჯანელიძემ გუშინ მთავრობის კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც პრემიერ-მინისტრმა ის თავდაცვის ახალ მინისტრად წარადგინა. მინდია ჯანელიძემ პრემიერს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

„მე გაცნობიერებული მაქვს ის პასუხისმგებლობა და ტვირთი, რაც ამ თანამდებობას თან ახლავს და მზად ვარ, ის ნდობა გავამართლო, რაც ჩემს მიმართ იქნა გამოხატული. ამასთანავე, რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ იმ ძირითადი პრინციპების შესახებ, რომელსაც დაეფუძნება მმართველობა თავდაცვის სამინისტროში და შეიარაღებულ ძალებში ჩემი მინისტრობის პერიოდში. შეიარაღებული ძალების განვითარების კურსი დარჩება უცვლელი – ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი, ეს არის ჩვენი მთავრობის არჩევანი, ის ორიენტირებული იქნება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კიდევ უფრო დაუახლოვდეს ჩვენი ქვეყანა ნატოს, მოხდეს შეიარაღებული ძალების თავსებადობა ნატოსთან, გაძლიერდეს თანამშრომლობა სტრატეგიულ პარტნიორებთან. მეორე პრინციპი, რასაც დაეფუძნება ჩემი მმართველობა, ეს იქნება შეიარაღებულ ძალებში თითოეული მომსახურე ოფიცრისა და ჯარისკაცის პატივისცემა, ისინი არიან გმირები და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მათ მოახერხონ თავიანთი თავის სრულად რეალიზება. გაგრძელდება მთავრობის კურსი შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზაციის მიმართულებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯარი უნდა იყოს და იქნება თავისუფალი პოლიტიკური კონიუნქტურისგან. სამინისტროს მიერ ყოველთვის იქნება გამოჩენილი სათანადო ყურადღება იმ ადამიანებისა და მათი ოჯახების მიმართ, რომელთაც თავისი ქვეყნისთვის ყველაფერი გაიღეს. ჩემი მმართველობა დაეფუძნება კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობას და ეფექტურობას“, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

# „ჯარი არავითარ პოლიტიკურ ორთაბრძოლებს არ ექვემდებარება“

**– ასე ეხმაურება პრემიერის გადაწყვეტილებას თავდაცვის მინისტრის გადაყენების შესახებ გენერალ მაიორი ვახტანგ კაპანაძე.**

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა მინისტრის მოხსნის შესახებ ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს შეიტყო.

„ჯარი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არავითარ პოლიტიკურ ორთაბრძოლებს. ჩვენ გვაქვს ჩვენი ამოცანა, დანაყოფები ასრულებენ თავის ყოველდღიურ რეჟიმს. ბატონმა ალასანიამ ბევრი გააკეთა თავდაცვის შეიარაღებული ძალებისთვის“, – განაცხადა „კურიერთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ვახტანგ კაპანაძემ.

იგი აღნიშნავს, რომ ალასანიას მინისტრობა შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდად. რაც შეეხება ახალ მინისტრს, კაპანაძის თქმით, ის მინდია ჯანელიძეს კარგად იცნობს და მას წარმატებას უსურვებს.

## ლევან იზორიას გადადგომის საკითხი დღის წესრიგში არც დამდგარა

**შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან იზორიას გადადგომის საკითხი დღის წესრიგში არც დამდგარა, – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა. ლევან იზორია თანამდებობაზე დანიშვნამდე „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი იყო.**

# „თავისუფალმა დემოკრატებმა“ კოალიცია „ქართული ოცნება“ დატოვეს

**გუშინ კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომას „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანიაც ესწრებოდა. აღნიშნული პარტიის მხრიდან კოალიციის დატოვებას წინ ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენები უძღოდა.**

პარტია 2009 წელს ჩამოყალიბდა. პარტია იყო წევრი პოლიტიკური ალიანსისა „ალიანსი საქართველოსთვის„. ალიანსი ერთ-ერთი მონაწილე იყო საპროტესტო აქციებისა 2009 წლის 9 აპრილიდან 26 მაისამდე, რომელთა მიზანი მიხეილ სააკაშვილის გადაყენება იყო.

2009 წლის 22 სექტემბერს ალიანსმა თბილისის

თვითმმართველობის არჩევნებში მერის კანდიდატურაზე ალიანსის ლიდერი ირაკლი ალასანია წარადგინა, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარედ – ყოფილი სახალხო დაცველი – სოზარ სუბარი.

2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ალიანსი გავიდა თბილისის მასშტაბით მეორე, ხოლო ქვეყნის მასშტაბის მესამე ადგილზე. ირაკლი ალასანიამ ხმათა 19% მიიღო. 2010 წლის ივლისში ალიანსი დაიშალა. 2011 წლიდან პარტია ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრია. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციამ ხმათა 54%-ით გაიმარჯვა, პარტიამ კი პარლამენტში 11-წევრიანი ფრაქცია შექმნა. პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, რომელმაც თანამდებობა უკვე დატოვა.

ამასთან ერთად ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“ საპარლამენტო უმრავლესობიდანაც გავიდა.

პარტიის თავმჯდომარემ ნინო გოგუაძემ აღნიშნა, რომ „თავისუფალ დემოკრატებს“ შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის პოვნა სურდათ, თუმცა მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება მოხდა, მათ პოლიტიკური დიალოგის გაგრძელება აღარ უცდიათ.

ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა პარტიის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ. მისი განმარტებით, „თავისუფალი დემოკრატები“ პარლამენტში თანამდებობებიდან არ გადადგებიან, რათა საბოტაჟად არ შეირაცხოს ეს ქმედება.

დეპუტატი გია ცაგარეიშვილი კი აცხადებს, რომ რამდენი წევრი დატოვებს „თავისუფალი დემოკრატებიდან“ საპარლამენტო უმრავლესობას 12 ნოემბერს გახდება ცნობილი.

მან ასევე ჟურნალისტების შეკითხვის პასუხად ირაკლი ალასანიას დაკავება არ გამორიცხა. „კომიკურია ეს ყველაფერი, რომ ახლა გაახსენდათ თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ ყველა საქმე, განსაკუთრებით ფაქტი ექიმების ბრალეულობაზე. ეს საქმე წელიწადნახევრის წინ ალასანიას უშუალო მითითებით სამხედრო პოლიციამ გადააგზავნა პროკურატურაში. აქამდე რატომ არ გაახსენდა არავის?! 23 000 საქმე აქვს გამოსაძიებელი პროკურატურას, სჯობს, ამას მიხედონ“, – განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.

# „შემიძლია ვთქვა, რომ დღეს საქართველოში არის სავსე პოლიტიკური ცხოვრება“

**ასე გამოეხმაურა სოზარ სუბარი თავდაცვის მინისტრის გადაყენებას და ორი მინისტრის გადადგომას. მისი თქმით, ეს ყველაფერი დემოკრატიული პროცესების მანიშნებელია, რაც მისასალმებელია.**

ამასთან, როგორც დევნილთა მინისტრი აცხადებს, ამ ეტაპზე მთავრობის ხელახალი დამტკიცების საჭიროება არ არის, თუმცა, მისი თქმით, ამის საჭიროების შემთხვევაში პრობლემას არც ეს წარმოადგენს.

„შემიძლია ვთქვა, რომ დღეს საქართველოში არის სავსე პოლიტიკური ცხოვრება, იგივე სამი წლის წინათ, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი შემოვიდოდა ფაქტობრივად, მოკვდა პოლიტიკა. ეს არის მჩქეფარე პოლიტიკური ცხოვრება, ამ დროს ხდება გადაყენება, გადადგომა, კოალიციის შექმნაც, დაშლაც. შესაბამისად, ეს მე მგონი მისასალმებელია. რეალური დემოკრატია არის დღეს, როცა არის სიტყვის თავისუფლება, როცა სამი არჩევნები ჩატარდა და არც ერთზე ერთი სიტყვა არ დაძრულა რომ გაყალბდა, ეს არის მთავარი. რაც შეეხება მთავრობის ხელახალ დამტკიცებას, ამ წუთისთვის ამის საჭიროება არ დგას, თუ მომავალში გვექნება, ესეც არ არის პრობლემა“, – განაცხადა სუბარმა.

SOS!

# მორიგი გაძვირება

**არასამთავრობები წინა ხელისუფლების დროს, ღიად ადანაშაულებდნენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის კერძო ფირმებისადმი ლოიალურ, მხარდამჭერ მიდგომას რიგითი მომხმარებლების ეკონომიკური ინტერესების საწინააღმდეგოდ.** ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მოსახლეობა იმედოვნებდა რომ მკვეთრად შეიცვლებოდა კომისიის შეხედულებები გაზრდილ ტარიფებზე, მისი წევრების ასტრონომიულად მაღალ ხელფასებზე და ა. შ. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კომუნიკაციების კომისიას არც უმსჯელია, მის ახალ ხელმძღვანელობას ტარიფების დაკლებაზე საუბარიც კი არ სურს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რამდენიმე დღის წინათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩვენს ქვეყანაში შემომავალი საერთაშორისო ზარების ახალი ქვედა ზღვრული ტარიფები დააწესა. თუ უსადენო (მობილური) ტელეფონის ერთ წუთ საერთაშორისო ზარზე წინათ გადასახადი 10 ცენტი (ქართული ეროვნული ვალუტის ეკვივალენტი) იყო, ამიერიდან 20 ცენტი (ლარის ეკვივალენტი) იქნება.

სადენიანი (ფიქსირებული) ქსელის ქვედა ზღვრული ტარიფი საერთაშორისო ზარებზე მფლობელისათვის 12 ცენტით (ეროვნული ვალუტის ეკვივალენტი) განისაზღვრა. გაძვირებამდე ტარიფი მხოლოდ 5 ცენტი იყო (ლარის ეკვივალენტი).

უსადენო (მობილური) ქსელის მფლობელი ოპერატორის ქსელით მომსახურეთათვის, იმ ავტორიზებულ პირებს, რომელთაც საკუთარი უსადენო (მობილური) თუ სადენიანი ქსელი არ აქვთ და საერთაშორისო სატელეფონო მომსახურებას ეწევიან, საქართველოში შემომავალი საერთაშორისო ზარების ერთი ხუთის ქვედა ზღვრული ტარიფი დაუწესდათ – 16 ცენტის გადასახადი, ხოლო საერთაშორისო სადენიანი (ფიქსირებული) ქსელის მფლობელთ 9 ცენტი (ყველაფერი ეროვნული ვალუტის ეკივალენტში).

**ზაზა ბილიხოძე**

**P. S. საქართველოს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის გელა დუმბაძის ოფიციალური ინფორმაციით, დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის თითქმის მეოთხედი ქვეყნიდანაა გასული. ყველაზე მეტი ჩვენი თანამემამულე რუსეთშია – 700 ათასი, საბერძნეთში – 200 ათასია, აშშ-ში 200 ათასამდე... მინისტრი ეყრდნობა ჩვენი საელჩოების ინფორმაციებს ( მათთან დაფიქსირებულს), მაგრამ რამდენია არალეგალურად წასული და მათ შესახებ არავინ არაფერი იცის (თუნდაც თურქეთში, იგივე რუსეთში და ა. შ.)%**

**ელზა ბუნტურის (დროებით უმუშევარი) თქმით, სახელმწიფო სტრუქტურა აშკარად დათმობაზე წავიდა კერძო კომპანიებთან მიმართებაში. ჩემი შვილი ესპანეთშია, ახლახან ბავშვი შეეძინა. მეუღლეც ქართველია. ხომ წარმოგიდგენიათ დღეში რამდენჯერ რეკავს. სხვები კვირაში ერთხელ მაინც რეკავენ. ამხელა მანძილზე საუბარი 1-2 წუთს ხომ გაგრძელდება. თითოეული დარეკვა უცხოეთიდან 30-50 თეთრითაა გაძვირებული. თითქოს არაფერი, მაგრამ თვეში სოლიდური თანხა გროვდება. ჩვენი ქვეყნიდან 1,5 მლნ-ზე მეტი ადამიანია გასული. ისინი იქ კარგი ცხოვრების გამო არ წასულან. გაჭირვებამ წაიყვანა. მათთვის თითოეულ თეთრსაც კი მნიშვნელობა აქვს. ეს თანხა უცხოეთში მყოფ ქართველებს ხომ აკლდებათ, მძიმედ ურტყამს მათ კმაყოფაზე მყოფ აქაურებს. მარეგულირებლის გაზულუქებული ჩინოვნიკები კი ყოველივეს არად დაგიდევენ და კერძო კომპანიების დაკრულზე ცეკვავენ, მაგრამ რის საფასურად? – მრავალმნიშვნელოვნად კითხულობს ჩვენთან მოსაუბრე.**

**ზ. ბ.**

სკანდალი

# „ყველაზე რეიტინგული მინისტრის“ ნაქცევა

**„ალასანიას კრიზისი“ — მოდით, ასე ვუწოდოთ სამშაბათის მოვლენებს — შეტევას „ყველაზე რეიტინგულ მინისტრზე“, რამაც სავარაუდოდ, უნდა შეცვალოს ძალთა თანაფარდობა სახელისუფლებო კოალიციაში, რაკი თავისუფალმა დემოკრატებმა მათი ლიდერის პოსტიდან გათავისუფლების შემდეგ, ხელისუფლებიდან გასვლა გადაწყვიტეს.**

**ირაკლი ალასანია ჯარისკაცების ფულით პარიზში ბოზებთან გრიალებდაო!**

ის დღე ირაკლი ალასანიასათვის მარცხიანად დაიწყო. ჯერ ერთი, ტენდერების ამბავზე დაჭერილ 5 მაღალჩინოსანს დაემატა ჯარისკაცების მასობრივი კვებითი მოწამვლის ერთი წლის წინათ დაწყებული გამოძიების მყისიერი რეანიმაცია და კიდევ რამდენიმე თანამშრომლის დაკავება.

ამან ობივატელს შთაბეჭდილება შეუქმნა, რომ თავდაცვის სამინისტროზე მასირებული თავდასხმაა, თავდაცვის სამინისტრო ალყაშია და ა. შ.

ამ მალემრწმენ ობივატელებში პირველი და ყველაზე მსხვილი ღლავი თვით მინისტრი ირაკლი ალასანია აღმოჩნდა, რომელმაც იმის ნაცვლად, რომ ცივი გონებით გაეანალიზებინა ვითარება და გონივრული გადაწყვეტილება მიეღო გამოსაძრომად, ხარბად გადაყლაპა ანკესი და თვალდაუხამხამებლად დაახეთქა, ყველფერ ამას პოლიტიკური სარჩული უდევსო, თავდაცვის სამინისტროს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის მოწინააღმდეგეები გვებრძვიანო, პროკურატურის უკან აშკარად „რაღაც“ ძალა დგასო, ქვეყანა კულუარებიდან არ უნდა იმართებოდესო.

ირაკლი ღარიბაშვილი სწორედ სელაპი უნდა ყოფილიყო, რომ ამ გამოწვევაზე „ნე ვიჟუ“ გაეკეთებინა. არც გააკეთა და იმავე საღამოს განცხადებით გამოვიდა: იმის ნაცვლად, რომ თავდაცვის მინისტრს ხელი შეეწყო გამოძიებისთვის, პროკურატურას დაუპირისპირდა, უფრო მეტიც: სცადა პოლიტიკური სარჩული დაედო მომხდარისთვის, რაც კატეგორიულად მიუღებელია ჩემთვისო, ამიტომ მას თანამდებობიდან ვათავისუფლებო. ის კი არა, მინისტრის პოსტზე მაშინვე შემცვლელი დაასახელა — მინდია ჯანელიძე.

ამდენად, სამშაბათ საღამომ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რა წარმავალია წუთისოფელი: იყო ალასანია, აღარ არის ალასანია! თავდაცვის მინისტრი ალასანია აღარ არის, თორემ პარტია (პარტიკუნა) თავისუფალი დემოკრატების ლიდერად კვლავ რჩება (ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს) და როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, ამ პოლიტიკური სკამიდანაც შეიძლება გვარიანად აამტუტოს ქვეყანა.

მით უფრო, რომ მოხსნის შემდეგ კიდევ უფრო გაამწვავა წინათქმა „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან: დღეს მე პრემიერის ნაცვლად პროკურორი დავინახეო. ჩემი უდანაშაულოდ დაკავებული ხალხის გამოხსნისთვის ბოლომდე ვიბრძოლებო, პროკურატურა მიზანმიმართულად ურტყამს თავდაცვის სამინისტროსო, გვებრძვიან ჩვენ, ებრძვიან ევროატლანტიკური ინტეგრაციის იდეალებსო. მე ყველა ჯურის ოპოზიციაში ვეძებ პარტნიორს, ვისაც აქვს ბრძოლის გამოცდილება და სურვილი, კარგად ვიცი, ვისი გორისა ვარ, მე არაფრის შემეშინდებაო.

გზავნილი უმალ მიიღო იმან, ვისთვისაც იყო გაგზავნილი.

უკვე აფუთფუთდა ქვეყანა. იმედი გაუჩნდა და მზის გულზე გამოდის ნიადაგში ღრმად ჩამძვრალი ჭიაღუა.

სამშაბათის ამბავი ცის ნამი იყო ნაპირზე უჰაეროდ ამოყრილი ნაცებისთვის. დავით ბაქრაძემ და გიგა ბოკერიამ, ისე რომ ღარიბაშვილს ჯერ განცხადებაც არ ჰქონდა გაკეთებული თავდაცვის მინისტრის მოძრობის თაობაზე, ხოლო მიშა სააკაშვილმა ცოტა გვიან, მოილიავეს პირები და სახელისუფლებო კოალიციის მალე დაშლა და ხელისუფლებაში ნაცმოძრაობის მალე დაბრუნება „იწინასწარმეტყველეს“, ხოლო სტატუს კვო ბიძინა ივანიშვილის უმძიმეს კრიზისად მონათლეს.

რესპუბლიკელებმა ღიად დაუჭირეს მხარი დამხობილს, დასავლური ორიენიტაციის გამო ებრძვიანო.

პოლიტოლოგმა ხათუნა ლაგაზიძემ ისიც კი თქვა, ხელისუფლებამ დიდი დანაშაული ჩაიდინა, რომ ალასანიას დასავლური კურსი დარტყმის ქვეშ დააყენაო.

ირაკლი ალასანიას თანაპარტიელებმა: ცოლისდამ, საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ თავის ოთხ მოადგილიანად და სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა სოლიდარობის ნიშნად გადადგომა გამოაცხადეს, ანუ მთავრობაში კიდევ სამი ადგილი გათავისუფლდა.

ოღონდ გაისმა სხვა ხასიათის ხმებიც.

მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძე ყოფილი თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ საკმაოდ მკაცრი ბრალდებებით გამოვიდა.

ხოლო „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ, იმის გარდა, რომ მავანისთვის ტენდერში უპირატესობის მიკუთვნება მინისტრის პირადი დაინტერესებით ახსნა, მთლად საჯაყი საქმეც გამოამზეურა: ალასანია ჯარისკაცებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ფულით პარიზში ვოიაჟებს აწყობდა მეგობარ ქალებთან ერთადო.

ერთი სიტყვით, მონასტერი აირია და ყველა ისე უბერავს, როგორც გაუხარდება. მთავარი ახლა ისაა, ვის შეაკვრიან ზავითა „თავისუფალი დემორატები“.

კიდევ ბევრ ბრალდებას და გასათეთრებელ ვერდიქტს მოვისმენთ.

ჯერ სად ხარ!

**ალეკო ასლანიშვილი**

## ნაცვლად იმისა, რომ გამოძიების შედეგს დალოდებოდა, თავდაცვის სამინისტრომ ძალიან ხისტი პოზიცია დაიკავა

**ექსპერტი გია ხუხაშვილი თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან გადაყენების ფაქტს მტკივნეულს უწოდებს, მაგრამ სწორ გადაწყვეტილებად აფასებს.**

**ხუხაშვილის მტკიცებით, ალასანიამ რამდენიმე სისტემური შეცდომა დაუშვა.**

**„იგი შევიდა ღია კონფრონტაციაში პროკურატურასთან და, შესაბამისად, პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ხელისუფლებასთან. ასევე შეცდომა იყო მისი განცხადება, რომელიც ევროატლანტიკურ არჩევანზე შეტევას ეხებოდა. ვფიქრობ, რომ ევროატლანტიკური არჩევანი არ არის ერთი კაცის არჩევანი. ის ხალხის არჩევანია. ასევე დიდი შეცდომა იყო განცხადება იმის თაობაზე, რომ პოლიტსაბჭოს უნდა ემსჯელა თავდაცვის სამინისტროში განვითარებულ მოვლენებზე. პოლიტსაბჭოს რომ ამ საკითხზე ემსჯელა, ეს იქნებოდა, რომ პოლიტელიტა ერევა გამოძიების საქმეებში, რაც დანაშაულია და პოლიტსაბჭოს ყველა წევრი დამნაშავე იქნებოდა“, — დასძინა ხუხაშვილმა.**

**რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროში განვითარებულ მოვლენებს და პოლიტიკურ ელფერს, ხუხაშვილის განმარტებით, ძიება გუშინ არ დაწყებულა. მისივე ვარაუდით, ამ ძიების შესახებ არ შეიძლება თავდაცვის სამინისტროში არ სცოდნოდათ, რადგან დოკუმენტების შესწავლა ხორციელდებოდა.**

**„სამწუხაროა, რომ რაღაც ეტაპიდან დაიწყო ამ თემის პოლიტიზება. თავდაცვის სამინისტროს განცხადებების შემდეგ ნაცვლად იმისა, რომ დალოდებოდნენ გამოძიების შედეგს, თავდაცვის სამინისტრომ დაიჭირა ძალიან ხისტი პოზიცია. შეიქმნა ძალიან სახიფათო პრეცედენტი. ფაქტობრივად, ორი ძალოვანი უწყება ერთმანეთს დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, ამ ყველაფერმა შეიძინა პოლიტიკური ელფერი. იმის ნაცვლად, რომ გაემიჯნათ ერთმანეთისგან პოლიტიკა და სამართალი, პირიქით გააკეთეს. მე ვფიქრობ, რომ ის, რაც დღეს ხდება, არ არის ყველაზე კარგი ვარიანტი ალასანიას პოლიტიკური მომავლისათვის.**

**ინტერპრესი**

განცხადება

## ნაციონალურ მოძრაობასთან პოლიტიკური კავშირი არ გვექნება

**„თავისუფალი დემოკრატები“ ნაციონალურ მოძრაობასთან პოლიტიკურ კავშირში ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება, — ამის შესახებ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტებს ამავე პოლიტიკური პარტიის ოფისთან განუცხადა.**

**„ჩვენს პარტნიორებს კოალიციის ძალებში მომავალშიც ვხედავთ. მასში არიან ლიბერალური მიმართულების პარტიები, რომლებიც მონათესავე ორგანიზაციები არიან და ძალიან მჭიდროდ ჩამოყალიბებული თანამშრომლობა გვაქვს — თუნდაც რესპუბლიკურ პარტიასთან, რომელთანაც ძალიან დიდი ღირებულებითი ერთობა გვაკავშირებს. რაც შეეხება ზოგადად მომავალში ჩვენს პოლიტიკურ პარტნიორებს, ერთი რამ, რაც შემიძლია ძალიან ცხადად და ერთმნიშვნელოვნად გითხრათ — „თავისუფალი დემოკრატები“ ნაციონალურ მოძრაობასთან პოლიტიკურ კავშირში ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება. ფუნდამენტური განსხვავები გვაქვს ძალიან ბევრ საკითხზე, მათ შორის, იმაზე, თუ რა მდგომარეობაში იყო მათი მმართველობის დროს ქვეყანა“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.**

**მედიანიუსი**

კაკალ გულში

## წიკვიტიანი თეზები

**● ფუ, მართლა რა, გულისამრევი მლიქვნელობა და მარაზმი ტრიალებს საქართველოში, თვალებში ნაცრის შეყრა ..... ჩვენ კი, დაჩმორებული მოსახლეობა, პირდაღებული შევყურებთ ამ მასკარადს!!!! მართლა აღარ ღირს ამ ქვეყანაში ცხოვრება!**

**● თურმე, ნებისმიერი სამინისტროს მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა სამართალდამცავების თემაა.**

**თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩადენილი — სენსიტიური თემა.**

**● გადადგომის შესახებ განცხადება გამიგია, შეკრების შესახებ საგანგებო განცხადება, რაღაც ახალია.**

**● „ცაგარა“ დემოკრატია და თანაც თავისუფალი?..**

**● ეკა გიგაურმა რაო? simple მაინტერესებს.**

**● ნაცები გეჭამათ, ერთმანეთის ჭამას, ბლინ!**

**● მგონი, მაგრა გვათოხლა მიხომ. დაგვარწმუნა, რომ იდიოტია, ყურადღება მოგვიდუნა და უსერიოზულესი ჩორტი ჩააგდო!**

**● ჩემთვის ზღვარს გადასული პრემიებიც კორუფციის სახეობაა. ნაცების ნოუ ჰაუ! ღარიბაც დასაჭერია, სამთვიან მუშაობაში ზონდერებს რომ გაატანა, პო ტრიცატტიშჩი, ჩვენი ფული. სავარაუდოდ, ჩემზე ახეული ორი თვის პენსიაც იქ შედიოდა!**

**● 1790 წლის 14 ივლისს ფინანსთა მინისტრის გადაყენების გამო პარიზში ფრანგებმა ბასტილიის ციხე აიღეს.**

**ხადურო, შენი გულისთვის კი არა, ალასანიას გულისთვის არ გაინძრევა არავინ! გეყურებაააა?**

**● მიშა იცინის, იცინის, კვდება სიცილით!**

**● ირაკლი ალასანია ნაცების ანკესს წამოეგო! მაგრა გამიტყდა!**

**● ნაციონალებო, რუსებს ოკუპანტებს რომ ეძახით,თბილისში უზარმაზარი მოსკოვის გამზირი როა წამოჭიმული, მაგაზე რატო არ იღებთ ხმას, ეს ორმაგი სტანდარტები ხელს გაძლევთ არა; თუ დაგჭირდათ რუსებს შეუძვრებით თუ დაგჭირდებათ — ამერიკას, ოღონდ თქვენი მიშა არ დაიჭირონ და ყველგან შეყოფთ თავს.**

**● კოალიციის ახლა დაშლა ნაცების წისქვილზე მიუშვებს წყალს, მართლა არ გვყოლია არც დაზვერვა, არც კონტრდაზვერვა.**

**ისევ ჩვენ გავიჭყლიტებით, უკვე მერამდენედ.**

**● უმუშევართა რიგები იზრდება!**

ამოკრიბა

**გია გაბრიჭიძე**

## ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და მისმა მოადგილეებმა დავით ზალკალიანმა, თამარ ბერუჩაშვილმა, დავით ჯალაღანიამ და ვლადიმერ გურგენიძემ თანამდებობები დატოვეს. მაია ფანჯიკიძემ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტროში გააკეთა. პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას გადაყენების შემდეგ მინისტრთა კაბინეტი მაია ფანჯიკიძის გარდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმაც დატოვა.

მაია ფანჯიკიძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად 2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა.

მაია ფანჯიკიძემ და დავით ზალკალიანმა მედიას მიმართეს, რომ სამუდამოდ არ ემშვიდობებიან და „ისევ შევხვდებით ერთმანეთს“.

დავით ზალკალიანმა კოლეგებთან ერთად მადლობა გადაუხადა ჟურნალისტებს, რომლებთანაც, მისი თქმით, ერთად აჯამებდა ყოველ ორშაბათს წინა კვირის შედეგებს და უყვებოდა დაგეგმილი ვიზიტების შესახებ.

„მე არსად არ მივდივარ, არ გემშვიდობებით. მე ისევ აქ ვარ ჩემს თანამებრძოლებთან ერთად; ნახვამდის“, — განაცხადა ზალკალიანმა.

თავის მხრივ, მაია ფანჯიკიძემაც აღნიშნა, რომ მედიას არც ის ემშვიდობება.

„არც მე არ გემშვიდობებით სამუდამოდ, მეც გეუბნებით ნახვამდის, ჩვენ მალე შევხვდებით ერთმანეთს“, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

## ᲛᲐᲘᲐ ᲤᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔᲛ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

**ᲐᲛᲘᲡ** შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის მხრიდან, თანამდებობის დატოვების შეფასებისას განაცხადა.

„ველოდით, რომ ალექსი პეტრიაშვილი, მაია ფანჯიკიძე დატოვებდნენ თანამდებობებს, თუმცა, ძალიან ვწუხვარ, რომ მაია ფანჯიკიძემ თავისი ოჯახის წევრის მიმართ გამოხატა სოლიდარობა და არა ქვეყნის და სახელმწიფოს მიმართ, ეს არის ძალიან პრინციპული ჩემთვის, თუმცა, რა ვქნათ, ეს მათი არჩევანი და უფლებაა. ჩვენ ვაგრძელებთ ცხოვრებას და წინსვლას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲯᲒᲣᲤᲣᲙᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲡ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲐᲙᲚᲔᲑᲡ

**ᲐᲛᲘᲡ** შესახებ ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილმა განაცხადა.

„მე მინდა, გითხრათ ორიოდ სიტყვა, ვიდრემდე წავალ: პირველი — დიდი მადლობა ყველას თანადგომის და მხარდაჭერისთვის. ჩემი ქმედება და ნაბიჯები ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რა სითბოც მივიღე გუშინდელი განცხადების შემდეგ! მეორე — მადლობა მინდა, გადავუხადო ჩემს თანამშრომლებს და თანამებრძოლებს, რომლებიც დაუღალავად შრომობდნენ დღე და ღამ, რომ დამდგარიყო ის შედეგი საგარეო-პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური პრიორიტეტების მიმართულებებით! მესამე — საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსი არის ნამდვილად ჩვენი ხალხის არჩევანი და ერთი პატარა ჯგუფუკა, რაც არ უნდა გავლენიანი უწყების იყოს, მას ვერაფერს დააკლებს! და ვერც ვერავინ ვერ დააკლებს! ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“ ამ კურსის სადარაჯოზე ვიქნებით და ძალიან ძვირად დავუჯღენთ ყველას, ვინც შეეცდება ამ კურსიდან გადახვევას!“

## ᲛᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲥ ᲕᲐᲠ, ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲗᲐᲜ

**ᲒᲐᲩᲜᲓᲐ** კითხვები ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით და მე არ მაქვს მორალური უფლება, დღეს სხვაგვარად მოვიქცე, — ამის შესახებ გუშინ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, დღევანდელი არჩევანი შესაბამისობაშია მის სამსახურთან და ღირებულებებთან. მისივე თქმით, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან და დადგეს მისი მეგობრებისა და თანამებრძოლების გვერდით.

„მე ვიყავი, დღეიდან ისევ ვარ და მომავალშიც ვიქნები „თავისუფალი დემოკრატების“ გვერდით. ვიქნები იმ გუნდის გვერდით, რომლისთვისაც მთავარი ფასეულობა არის ადამიანი, ვისთვისაც უმთავრესია ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოს აშენება, ვისთვისაც უმთავრესია ქვეყნის ევროატლანტიკური არჩევანი. ამ ღირებულებების გარშემო გაერთიანდა ეს გუნდი. გაჩნდა კითხვები ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით. მე არ მაქვს მორალური უფლება, დღეს სხვაგვარად მოვიქცე. არასდროს, ჩემი ქვეყნის პრინციპებისთვის არ მიღალატია. მე ვარ კარიერული დიპლომატი. ჩემი ცხოვრების თითქმის ნახევარი, 22 წელი ვემსახურე ამ სამსახურს და ამ საქმეს მივუძღვენი ყველაფერი. არც ერთ წუთს არ გადამიდგამს გაუაზრებელი ნაბიჯი, არც 2009 წელს, როდესაც გადავდექი ელჩობიდან, როდესაც კვლავ დავბრუნდი დიპლომატიურ სამსახურში დარწმუნებული ვიყავი, რომ აღარასდროს მომიწევდა მსგავსი ნაბიჯის გადადგმა. მინდა, მოვიხსენიო „თავისუფალი დემოკრატები“, რომლებიც 2 წელი ერთგულად ემსახურებოდნენ ჩვენი ქვეყნის ევროპულ არჩევანს. მადლობას გიხდით ყველას, ჩემს კოლეგებს, ქართველ და უცხოელ დიპლომატებს, ჟურნალისტებს, რომლებთან ერთადაც ვაჯამებდით წინა კვირას და მომდევნო ვიზიტებს. მე არსად არ მივდივარ, მე ისევ აქ ვარ ჩემს თანამებრძოლებთან“, — განაცხადა ზალკალიანმა.

## ᲨᲔᲣᲠᲐᲡᲬᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲐ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ

**ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ** გაუგებარი იყო ირაკლი ალასანიას მიერ ბრიფინგზე გაკეთებული განცხადება, მით უმეტეს, რომ შეთანხმებულები ვიყავით , პოლიტიკური განცხადებები არ გაგვეკეთებინა, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, თავდაცვის სამინისტროს დაკავებული მაღალჩინოსნების საქმესთან დაკავშირებით პოლიტიკური განცხადებების გაკეთება სწორად არ მიაჩნია.

„ძალიან ხშირი იყო ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, რაც მიმაჩნია, რომ არასწორია, თუმცა, არც იმაზე შემიძლია ვისაუბრო, რომ კონკრეტული პიროვნებები, რომლებთან დაკავშირებითაც პროკურატურას კითხვები გააჩნია, დამნაშავეები არიან. უდანაშაულობის პრეზუმფცია რომ არ დავარღვიოთ, უნდა დაველოდოთ გამოძიებას. კიდევ ერთხელ მოვუწოდებდი ყველას, რომ პოლიტიკური განცხადებებისგან თავი შევიკავოთ. ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებული განცხადება ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ ჩვენ შეთანხმებულები ვიყავით, პოლიტიკური განცხადებები არ გაგვეკეთებინა. ვთქვით, რომ ყველას ინტერესში იყო გაგვერკვია სიმართლე“, — განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება ალასანიას განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის უწყების მაღალჩინოსნების დაკავების ერთ-ერთი მიზეზი გერმანიასა და საფრანგეთში მისი ვიზიტების ჩაშლა იყო, კალაძე აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფს.

კალაძე ალასანიას მიერ ამავე გადაცემაში გაკეთებულ იმ განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს ევროპული არჩევანის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს და განმარტა, რომ ევროპა არა ერთი კაცის, არამედ ქართველი ხალხის არჩევანია.

## ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ

**ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ** უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გია ვოლსკის განცხადებით, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი უცვლელია.

„კურსი არც ერთი კონკრეტული მინისტრის არჩევანი არ არის. საგარეო კურსი არის სახელმწიფოს არჩევანი. ის არის უცვლელი და დარჩება უცვლელად“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

დეპუტატი ირაკლი ალასანიას განცხადების იმ ნაწილსაც გამოეხმაურა, რომელიც სახელმწიფოს კულუარებიდან მართვას ეხება. ამასთან დაკავშირებით ვოლსკი აცხადებს, რომ არც ერთი სახელმწიფო უწყება არავის არ ეკუთვნის და არც ერთი პოლიტიკური ლიდერის კუთვნილება არ არის.

გია ვოლსკიმ რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის მოულოდნელი იყო ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებული განცხადება, რადგან არსებობდა შეთანხმება, რომ თავდაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით აღძრული საქმეების პოლიტიზირება არ მოხდებოდა.

## ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲛᲐᲘᲓᲜᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ

**„ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ** დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე განახლებული ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მობრუნების დიდ საფრთხეს ხედავს.

„მე არაერთხელ მითქვამს, რომ ის მოდელი, რომელიც „რესპუბლიკელებმა“ და ნაციონალურმა მოძრაობამ თავს მოახვია ქვეყანას, სახელმწიფოს შეუქმნიდა სერიოზულ კრიზისს და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს კრიზისი სახეზეა. მთავრობა არის ურთულეს ვითარებაში და მე ძალიან მაშფოთებს ის განცხადებები, რომლებიც კეთდება ალასანიას, ნაციონალური მოძრაობის და სხვა გადამდგარი მინის-

ტრების მხრიდან. ახლა ერთხმად იმის ძახილი ნაციონალურ მოძრაობასთან ერთად 15 ნოემბრის წინ, რომ თურმე ერთ კონკრეტულ სამინისტროში გამოძიების დაწყებამ ევროპულ და დასავლურ კურსს შეუქმნა საფრთხე, ძალიან ჰგავს მაიდნის სცენარის მომზადებას, რისთვისაც ნაციონალური მოძრაობა ძალიან დიდი ხანია, მუშაობს და რაზეც მე ვაფრთხილებდი ხელისუფლებას. ქვეყანა დგას უმძიმესი საფრთხეების წინაშე. თუ ხელისუფლებამ ახლა ვერ შეძლო ამ კრიზისის განმუხტვა და თუ არ გადადგა მწვავე და სერიოზული ნაბიჯები, ჩვენ შეიძლება ქვეყანაში უმძიმესი დაპირისპირების მოწმენი გავხდეთ. დიდი საფრთხეა განახლებული ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მობრუნებისა და ეს რესპუბლიკელების და ალასანიას განცხადებებმა ძალიან ნათლად დაგვანახა“, — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

## წარმატებული მინისტრები არ არიან ის მინისტრები, ვისაც შეიძლება ათასამდე ადამიანი ჰყავდეს მოწამლული

**ამის** შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ განაცხადა. საგანელიძის თქმით, ის, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია რეიტინგული მინისტრი იყო, არ ნიშნავს, რომ წარმატებული მინისტრი იყო.

„რეიტინგი არ ნიშნავს წარმატებას. დიდი გამოცდილება მაქვს პოლიტიკაში და ვიცი, რომ ეს რეიტინგები ერთ დღეს შეიძლება გქონდეს და მეორე დღეს ძირს ეგდოს. წარმატებული მინისტრი არის ის, ვისაც უწყებაში ისე აქვს აწყობილი საქმე, რომ კითხვები არ ჩნდება ან თუ ჩნდება, პასუხები არსებობს. წარმატებული მინისტრები არ არიან ის მინისტრები, ვისაც შეიძლება ჰყავდეს მოწამლული ათასამდე ადამიანი და ჯერ დასკვნა არ იყოს ამასთან დაკავშირებით“, — განაცხადა დავით საგანელიძემ. მისივე თქმით, ალასანიას წარმატებული მინისტრობის შემთხვევაში სიტუაცია ამ მდგომარეობამდე არ მივიდოდა.

## ალასანიამ პოლიტიკური დევნილის მანტია გაიმზადა

**ლორთქიფანიძის** განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ ტენდერების გამოძიებამ საქმე, უწყების აწ უკვე ყოფილი თანამდებობის პირის კარამდე მიიყვანოს.

„ირაკლი ალასანიას არც ერთი სამართლებრივი ხასიათის შეფასება არ გაუკეთებია. მისი პირველივე განცხადება იყო პოლიტიკური და გვირგვინიც პოლიტიკური იყო. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, საქმე ეხება კორუფციულ გარიგებათა მთელ სერიას, რომელიც ამ ტენდერების ჩატარებასთან არის დაკავშირებული. ღარიბაშვილმა გამოსვლისას აღნიშნა კიდეც, რომ ტენდერებში და შესყიდვებში დიდი ალბათობით ირაკლი ალასანიას მეგობრები იმარჯვებდნენ. სწორედ ამიტომ აღნიშნა ალასანიამ მოგვიანებით, რომ პრემიერი იყო პროკურორი. მე გუშინ დავინახე საკმაოდ შეშინებული ალასანია, რომელმაც გადაწყვიტა რა, გაეკეთებინა პოლიტიკური განცხადება, ამით მან, ყოველი შემთხვევისთვის, პოლიტიკური დევნილის მანტია გაიმზადა“, — განაცხადა ლორთქიფანიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, სვალ და ზეგ დავდგეთ იმ ფაქტის წინაშე, რომ ტენდერების გამოძიებამ, შესაძლოა, უწყების აწ უკვე ყოფილი თანამდებობის პირის კარამდე მიგვიყვანოს.

◎ ცუდი პოლიტიკური სცენარი

# ემუქრება თუ არა პარლამენტს დაშლა, ხოლო პრემიერ-მინისტრს — პოსტის დატოვება?

**„თუ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშალა, ეს არ იქნება ძალიან დიდი ტრაგედია. ვფიქრობ, არავის აქვს ვალდებულება, რომ კოალიციაში აუცილებლად დარჩეს. კოალიციის ხელოვნურად შენარჩუნება ძალიან ცუდი იქნება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ქვეყნის განვითარებისთვის“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა კახი კალაძემ, კოალიციის პოლიტსაბჭოს სხდომის გამართვამდე ცოტა ხნით ადრე. პრემიერმა ღარიბაშვილმაც მოუწოდა კოლეგებს, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელ ღირსეულ ადამიანებს, ერთად გააგრძელონ ბრძოლა სახელმწიფოს მშენებლობისთვის, მაგრამ...**

**კოალიციის დაშლა, შესაძლოა, ისეთი სახიფათო არ აღმოჩნდეს ქვეყნისთვის, ვიდრე საპარლამენტო უმრავლესობის დაშლა, რომელსაც, როგორც ვარაუდობენ, გამორიცხული არაა, ახალი საპარლამენტო არჩევნები მოჰყვეს.**

კოალიციურ უმრავლესობას პარლამენტში 6 საპარლამენტო ფრაქცია და ჯამში 83 დეპუტატი ქმნის. „ქართული ოცნება — თავისუფალ დემოკრატებში“ 10 წევრია, რომელთა უმრავლესობიდან გასვლა ნიშნავს, რომ 150-კაციან პარლამენტში, 73 დეპუტატი რჩება, რაც არ არის საკმარისი ხმათა უმრავლესობის ქონისთვის. უმრავლესობის შენარჩუნება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი დამოუკიდებელი დეპუტატები მოისურვებენ „ქართულ ოცნებასთან“ გაერთიანებას.

როგორც პოლიტიკოსი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** ვარაუდობს, ამის გამო ქვეყანაში შეიძლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს. მეტიც, არ არის გამორიცხული ახალი პრემიერ-მინისტრი ვიხილოთ: **„თუ დღეს ალასანიას გუნდი კოალიციის დატოვების გადაწყვეტილებას მიიღებს, ხოლო პეტრიაშვილისა და ფანჯიკიძის მსგავსად თანამდებობას მისი გუნდის სხვა მინისტრებიც დატოვებენ, მინისტრთა კაბინეტის ერთი მესამედი გადამდგარი ან გადაყენებული აღმოჩნდება, პრეზიდენტს კი ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნა მოუწევს. თუკი იმასაც წარმოვიდგენთ, რომ პარლამენტში „რესპუბლიკელები“ და „დემოკრატები“ ჯამში 19 დეპუტატს შეადგენენ, ხოლო ნაციონალებს სულ რაღაც 6 დეპუტატის მიმხრობა სჭირდებათ ახალი უმრავლესობის შესაქმნელად, სურათი ნათელია, საითკენ წავა ვითარება“.**

ლორთქიფანიძე ითვალისწინებს რა 15 ნოემბრის აქციას, მოვლენების ქუჩაში გადანაცვლებასა და მძიმე ესკალაციას წინასწარმეტყველებს.

ის, რასაც **ვალერი გელბახიანი** აანონსებს, მისივე განმარტებით, სულაც არ არის სიზმარში ნანახი ზღაპარი, არამედ მძიმე პოლიტიკური რეალობაა. ექსპერტი თავისუფალი დემოკრატების თამაშებში „რესპუბლიკელების“ როლს სულაც არ აკნინებს და მათ მხრიდან კოალიციის დატოვებასაც ვარაუდობს: **„რესპუბლიკელებს“ სხვა პარტნიორი არ ჰყავთ. ამიტომ, როდესაც ერთი პარტნიორი ეთიშება პროცესს, მეორე პარტნიორსაც მოუწევს კოალიციის დატოვება. დგება პრობლემა — ან რესპუბლიკელები უნდა დარჩნენ კოალიციაში ან წამყვანი ფუნქციის ხელში აღება მოითხოვონ, რასაც იციან, რომ ვერ მიიღებენ, ან დატოვონ უმრავლესობა და ახალი ძალის შექმნაზე იფიქრონ“,** — დასძენს ის.

საინტერესოა, მთავრობის უმაღლესი პირების დანიშვნის საკითხიც. გელბახიანის თქმით, **„პარლამენტში მინისტრებისთვის ნდობის გამოსაცხადებლად, პრემიერ-მინისტრს უნდა ჰქონდეს 100-პროცენტიანი გარანტია იმისა, რომ პარლამენტი მას მხარს დაუჭერს. „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „რესპუბლიკელების“ გარეშე მას მხარდაჭერა ვერ ექნება, ხოლო თუკი კენჭისყრაზე მის მიერ წამოყენებული კანდიდატურა ჩავარდება, უკვე პრეზიდენტმა უნდა აირჩიოს, ვინ დაითხოვოს — პარლამენტი თუ მთავრობა.** ჩემი აზრით, პრეზიდენტი მთავრობას დაითხოვს. ეს გამოიწვევს დროებითი მთავრობის შექმნას და ახალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას“.

დაძაბულობასა და პოლიტიკურ კრიზისს არც იურისტები გამორიცხავენ. კონსტიტუციონალისტი **ავთანდილ დემეტრაშვილი** ამბობს, რომ პარლამენტში უმრავლესობის დაშლის შემდეგ სერიოზული დილემა წარმოიშვება, განსაკუთრებით ბიუჯეტის დამტკიცებისას. **„ჩვეულებრივი კანონის მიღებას სჭირდება დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ დემოკრატების 10 დეპუტატი კოალიციას დატოვებს, 73 ხმა არ ექნება უმრავლესობას.**

**განსაკუთრებით მძიმე ვითარება იქმნება ბიუჯეტის მიღებისას, რომელიც პირველ იანვრამდე უნდა დამტკიცდეს. მთავრობას ეძლევა კიდევ ორი თვე იმისთვის, რომ ბიუჯეტი მიიღოს. თუკი ვერ გადაწყდება, ეს მიიჩნევა მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებად და დაიწყება ახალი მთავრობის ფორმირება, რაც საბოლოო ჯამში შეიძლება მივიდეს პარლამენტის დაშლამდე“,** — განაცხადა დემეტრაშვილმა.

**პარლამენტში მიმდინარე გადაჯგუფებები პირდაპირ უშვებს წყალს ნაციონალების წისქვილზე, რაც უნდა ბევრჯერ გაიმეორონ კოალიციის წევრებმა, რომ ისინი ბიძინა ივანიშვილის მადლიერები არიან, ყველა ის შედეგი, რაც „ქართული ოცნების“ დროშის ქვეშ მოიპოვეს, ფაქტობრივად, წყალში იყრება.** გაუგებარია, რა იგულისხმა ამ სიტყვათწყობაში დეპუტატმა **დავით ბერძენიშვილმა,** რომლის გარკვევას, ალბათ, უფრო მეტი სიცხადე და განმარტებები დასჭირდება. ის ერთმნიშვნელოვნად აცხადებს: **„ქვეყანას მართავს ხელისუფლება, სახელად კოალიციური, არსით კი ჯერ არაკოალიციური. ამიტომ შეთანხმებაა საჭირო. კოალიციური შეთანხმება მისი სრული პაკეტით, უფლებამოსილებების განაწილებით ცენტრალურ, რეგიონულ, თვითმმართველობის დონეზე, დღეს აქტუალური არ არის, მაგრამ ცალკეულ საკითხებზე შეთანხმება შესაძლებელია. ზოგზე შედგება შეთანხმება, ზოგზე — ვერა. ევროპულ და ევროატლანტიკურ არჩევანს საქართველოში ალტერნატივა არა აქვს!“** — აღნიშნა ბერძენიშვილმა.

უკანასკნელ დროს შექმნილ აჟიოტაჟში ისე გამოჩნდა, რომ „გზაგასაყარი“ თითქოს ქვეყნის ევროპული ალტერნატივა გახდა, მაგრამ სწორედ ამან შეიძლება შეკრას ერთ გუნდად კოალიციის რამდენიმე სუბიექტი და „ნაციონალები“. ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა გუშინვე უარყო ნაციონალებთან გაერთიანების შესაძლებლობა, მაგრამ მის ადრინდელ განცხადებებში პათოსი ჩანდა. თუკი დიმიტრი ლორთქიფანიძეს დავუჯერებთ, **„ალასანიამ გადალახა ის სტიგმა, რომელიც ნაციონალებთან თანამშრომლობას არ გამორიცხავს. ეს მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ შეიძლება, სულ მალე პარლამენტში რესპუბლიკელების, თავისუფალი დემოკრატებისა და ნაციონალების ახალი ფრაქცია მივიღოთ“.**

როგორც კი ირაკლი ალასანიამ პოლიტიკური განცხადებები გააკეთა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა **დავით საგანელიძემ** კოალიციის დაშლა იმთავითვე იწინასწარმეტყველა. **„ვინაიდან ამ პარტიის ლიდერები მიდიან, ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ფრაქცია უმრავლესობას დატოვებს. მე გული დამწყდება, რადგან მათ კარგად უნდა გააანალიზონ, სად არის პოლიტიკა და სწორი მართვა“,** — განაცხადა მან.

მოკლედ, პოლიტიკური პროცესების დუღს.

დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას...

**თეა მოსია**

# თუ ალასანიას მიმართ საქმე არ აღიძვრება, ამაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება პრემიერს მოუწევს

**— ეს განცხადება პარტია „ქართული დასის“ თავმჯდომარემ ჯონდი ბაღათურიამ გააკეთა.**

**მისი თქმით, პროკურატურას თავდაცვის მაღალჩინოსნების საქმეზე პოლიტიკური ქუდი სწორედ პრემიერმა გაუკეთა, და თუ თავდაცვის ყოფილი მინისტრის მიმართ საქმე არ აღიძვრება, ამაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება პრემიერს მოუწევს.**

**„მე არ ვიცნობ საქმის მასალებს და არ ვიცი, ირაკლი ალასანია არის თუ არა ჩართული კორუფციაში, მაგრამ ფაქტია, რომ ირაკლი არ გაემიჯნა და თქვა, რომ ის ამ ყველაფრის საქმის კურსში იყო. საქმე არის შემდეგნაირად, ან პროკურატურა აგრძელებს ძიებას და დააყენებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს ალასანიას მიმართ, ან პროკურატურას მოუწევს აღიარება, რომ ტყუოდა და მოუწევს გადადგომა პროკურორს, ან პრემიერს, ვინაც პოლიტიკური ქუდი გაუკეთა ამ საქმეს. თუ ალასანიას პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, პრემიერ - მინისტრს მოუწევს ამაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება“,** — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

◎ განსჯა

# ალასანიას გვერდზე გაწევით კოალიცია რჩება ნაგებული

**მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ექსპერტი რამაზ სამვარელიძე გვესაუბრება.**

**— ბატონო რამაზ, იმით, რაც დღეს მმართველ კოალიციაში ხდება, ვინ რჩება მოგებული?**

— სიმართლე გითხრათ, ბოლო დღეებში რაც ექსპერტულ საზოგადოებასა და ანალიტიკოსებს აწუხებს სწორედ ამ კითხვაზე პასუხია. ვინ რჩება მოგებული? — ეს არის კითხვა რომლის პასუხზეც უნდა ავაწყოთ ლოგიკა. მთელი ამ ამბიდან მოგებული რჩება ნაციონალური მოძრაობა, რადგან მმართველი გუნდისთვის ეს განხეთქილება, თუ მოხდა ასეთი, ძალიან მძიმე დარტყმა იქნება. ალასანია უცხოეთისთვის არის თვალსაჩინო პროდასავლური ფიგურა, აქ — ალასანიას ჰყავს ძლიერი გუნდი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში და აქვს ფართო საზოგადოებაში რეიტინგი. მისი გვერდზე გაწევა კოალიციიდან კოალიციის ყველა სუბიექტს უსუსურ მდგომარეობაში დატოვებს, რომლის ფონზეც თავად პარლამენტის ბედ-იღბალიც (ანუ შეეძლება თუ არა პარლამენტს გადაწყვეტილების მიღება, იქნება თუ არა აღმასრულებელი ხელისუფლება ქმედუნარიანი) დგება დღის წესრიგში. რაში უნდა აწყობდეს სახელისუფლებო გუნდს ალასანიასთან დაპირისპირება, ამ ფონზე ჩემთვის გაუგებარია.

**— თუ სახელისუფლებო გუნდს არ აწყობდა ალასანიასთან დაპირისპირება, რითი აიხსნება პროკურატურის შეტევა თავდაცვის სამინისტროზე? „სილქნეტთან“ ერთად ძველი საქმეც წამოტივტივდა და თავდაცვის სამინისტროს კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანი დააკავეს...**

— თუკი ამ საქმეებით წამომტივტივებელი არის ხელისუფლება — ნაციონალური მოძრაობის ვერსია ჩემთვის იმითაც არის უფრო დამაჯერებელი, რომ მას არ აქვს კავშირები გაწყვეტილი პროკურატურასთან და სამართალდამცავ სისტემასთან. ხელისუფლებში კი არ არის ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ ბევრი ბერკეტი აქვს. გავიხსენოთ, კომპრომატების დაგროვება როგორ უყვარდა და განა პროკურორებზე არ ექნება კომპრომატები, რომლითაც მათ თავისი ინტერესების სასარგებლოდ ამოქმედებს? ასე რომ, ნაციონალური მოძრაობის ვერსია არ არის ჩემთვის გვერდზე გადასადები ვარიანტი.

**— თუ ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია ისეთი ნაღმების ჩადება, რომ ხელისუფლების გახლეჩვა მოახერხოს, ეს თავად ხელისუფლების მიმართ არ ბადებს კითხვებს, რამდენად ფლობს ქვეყნის მართვის ბერკეტებს?**

— ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტესტია ხელისუფლებისთვის. ჩვენ ხომ არაერთხელ ვნახეთ, რომ ხან პროკურატურის გაკეთებული საქმე არ იყო იმ დონეზე, რომ ხელისუფლებას ჩრდილი არ მისდგომოდა, გინდ ქვეყნის შიგნით, გინდ უცხოეთში. ხან სასამართლო ხელისუფლებას გამოჰქონდა ის გადაწყვეტილებები, რომელიც ნაციონალური მოძრაობის აღტაცებას უფრო იწვევდა, ვიდრე ხელისუფლების.

ანუ, ხელისუფლება მართავს სამართალდაცვითი მიმართულებითო, ეს პოზიცია ამ ინციდენტის გარდა ბევრი სხვა ინციდენტის გახსენებითაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ. თუმცა, ეს ინციდენტი შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე რთულია და ხელისუფლება როგორ გაართმევს მას თავს, ამითი ბევრი რამ გამოვლინდება.

გავიხსენოთ, რომ პოროშენკომ, როდესაც შეამჩნია არაეფექტურობა მისი ხელისუფლებისა, ძალიან ბევრი პირი და მათ შორის პროკურორებიც, დაახლოებით 30 თუ 40 პირი გაათავისუფლა თანამდებობიდან. ასეთი წმენდა, თუ შეიძლება, ითქვას, პოლიტიკური, ანუ იმ მოტივით, რომ შესაძლოა, სახელმწიფოს ვნებდეს, საქართველოში არ ჩატარებულა. ასე რომ, მართავს ხელისუფლება სიტუაციასო, ალბათ, საბაბიც არ გვაქვს, ვთქვათ, რადგან არც ერთი ნაბიჯი იმისთვის, რომ მართვის ბერკეტები მოეპოვებინა, კადრები შეეცვალა და ა.შ. არ გადადგმულა.

**— რატომ არ გადაიდგა, აქაც კითხვები ჩნდება. როგორ ფიქრობთ, დასავლეთის განაწყენებას მოერიდნენ?**

— ეგ უფრო რთული კითხვაა, ვიდრე შემიძლია პასუხი გავცე, არც მე არ მაქვს მაგ კითხვაზე პასუხი. ერთი ვარიანტი არის, რომ შესაძლოა, დასავლეთის მხრიდან იმ შენიშვნებს მოერიდნენ, რომელიც დღესაც ისმის. მეორე — თვითონ ხელისუფლება ხშირად ამბობს, ახალი კადრები სად ვიპოვოთ, ამიტომ ძველი გადმოვიბიროთ, უკეთესიაო. მაგრამ ის გადმობირებული არის, გადმობირებული თუ მხოლოდ ტანსაცმელი აქვს შეცვლილი. მესამე — გამოუცდელია ხელისუფლება, არ იცის სად რა საფრთხეები ელოდება და არ იცის, სად როგორ მოიქცეს.

**— დავუშვათ ნაციონალების ვერსია არის ერთ-ერთი, სხვა რა ვერსიები შეიძლება განვიხილოთ — პარტია „ქართული ოცნების“, მთავრობის ხელმძღვანელის მხრიდან გაკეთებული განცხადებები დასაწყისშივე არ ყოფილა ნეიტრალური ალასანიას მიმართ...**

— მართლაც არ იყო ეს განცხადებები ალასანიას მხარდამჭერი, ღარიბაშვილის განცხადებები კითხვის ნიშნების არსებობას უსვამდა ხაზს, ასეთი განცხადებები შეიძლება ჯერ კიდევ ასახავდეს ცალკეული პოლიტიკოსების პოზიციას, რომლებმაც არ იციან მთლიანი პროცესი.

**— რაც შეეხება ალასანიას განცხადებას, ის დარწმუნებულია, რომ ამ თემას პოლიტიკური სარჩული აქვს, ვერ შემაშინებენ ვერც პროკურატურით და ვერც „ტალახითო“, მას არ აქვს საფუძველი რომ მის უწყებაში განვითარებულ მოვლენებს პოლიტიკური უწოდოს?**

— პოლიტიკური ამ შემთხვევაში ბევრ რამეს შეიძლება გულისხმობდეს, იმასაც რითაც საუბარი დავიწყეთ, რომ შესაძლოა, ამას პოლიტიკური ოპონენტები აკეთებენ. მედიის დიდი ნაწილი იმაზეც მსჯელობს, რომ სახელისუფლებო გუნდში ხდება რაღაც. შეიძლება, იყოს მესამე ვარიანტიც, რაშიც ალასანიას განცხადებაშიც იყო მინიშნება, რომ ვინც ცდილობენ, ხელი შეუშალონ საქართველოს ევროპულ კურსს, მათ აწყობთ ეს სიტუაცია. იმაში, ვისაც სურს, ხელი შეუშალოს ევროპულ კურსს, რუსეთიც შეიძლება იგულისხმებოდეს და საკუთარი ემისრების საშუალებით აკეთებდეს ამ ყველაფერს.

**— რა უნდა გააკეთოს მმართველმა ძალამ იმისათვის, რომ პოლიტიკური კრიზისი აიცილოს?**

— მივყვებოდი დავით უსუფაშვილის ფორმულას, რომ ეს საქმე ბოლომდე უნდა იყოს გამოძიებული. თუ დამნაშავეები არიან, უნდა დაისაჯონ, მაგრამ თუ უდანაშაულოები არიან, უნდა დაისაჯოს ის, ვინც ეს საქმე წამოიწყო - გულისხმობდა პროკურატურას. ვფიქრობ, ეს პათოსი, რომ პროკურატურა არ აღმნოჩნდეს ხელშეუხებელი, როგორც აქამდე იყო და ის გახადო პასუხისმგებელი ამ ტიპის შეცდომებზე, რომელსაც შეიძლება ქვეყნისთვის მძიმე შედეგი ჰქონდეს, მე მგონი, ეს გზა არის ყველაზე მისაღები.

**— იმ სიტუაციიდან რაც გვაქვს, გამორიცხავთ კოალიციის დაშლას?**

— ჩვენ სამ ვერსიას შევეხეთ, მიზეზები შეიძლება იყოს, ხელისუფლებაში, ოპოზიციაში და გარეთ. გამორიცხვით არც ერთს არ გამოვრიცხავ, თუმცა ინტერესის ლოგიკით უფრო მეტად ვვარაუდობ, რომ ნაციონალების მიზეზით იყოს, თუმცა რუსეთისა და ნაციონალების ვერსიები ერთმანეთს არ გამორიცხავს.

**— ნაციონალები და რუსეთი შეთქმულების თეორიას ხომ არ ჰგავს?**

— ნაციონალებისა და რუსეთის კავშირზე სინამდვილეში ბევრი ლაპარაკობს, ეს კავშირი დაწყებული იქიდან, რომ ნაციონალებმა დაასუსტეს კოდორი, მერე ახალგორი მიუერთეს სამხრეთ ოსეთს, 2008 წლის პროვოკაციაში ჩაერთვნენ, ეკონომიკური ბერკეტები ჩაუგდეს ხელში რუსეთს, ამიტომ ეს კავშირი კიდევ მოითხოვს გამოძიებასა და გამოკვლევას. მარტო შეთქმულების თეორიით ამ კავშირზე ლაპარაკი არა მგონია, სწორი იყოს. თანაც პოლიტიკას შეთქმულებები სჩვევია.

**— ანუ შიდა და გარე ძალების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, ვის შეიძლება დასუსტებული ქვეყანა და გახლეჩილი ხელისუფლება აწყობდეს?**

— ყველა დროსა და ეპოქაში, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში — ჩვენ ხომ დასავლური ტიპის ოპოზიციონერობა არ ვიცით, ყოველთვის იყო ოპოზიციის სულისკვეთება, რომ დასუსტდეს ქვეყანა და ამის გამო ხელისუფლება შეიცვალოს. ასე იქცეოდა ბევრი ადრე და ასე იქცეოდნენ თავის დროზე „ვარდების რევოლუციის“ ინიციატორები.

**— მედიაში აქტიურად განიხილება, რომ შესაძლოა, ეს არის ივანიშვილ-ღარიბაშვილის დაკვეთაც - ამდენად რეალურად მიიჩნევთ ამ ვერსიას?**

— ამ დაკვეთის შედეგი თუ მიიღეს, ანუ გვერდზე გამდგარი აღმოჩნდა ალასანია, მაშინ ხომ მათივე კოალიცია დასუსტდება, თანაც ძალზე სერიოზულად. არ ვლაპარაკობ იმაზე, ვინ ვის უყვარს ან არ უყვარს. ემოციების გარეშე, რაციონალურად, რა მოტივი უნდა ჰქონდეთ იმისათვის რომ ასეთ ნაბიჯი გადადგან? — ეს არის ჩემთვის გაუგებარი.

**— ანუ, ეს ვერსია შედარებით ნაკლებად უახლოვდება რეალობას?**

— ნუ გამოვრიცხავთ ნურაფერს, იმიტომ, რომ პოლიტიკაში ხანდახან ისეთი სისულელეები ხდება, ძნელი წარმოსადგენია, ლოგიკიდან თუ გამოხვალ. მე ლოგიკიდან გამომდინარე ვერსიას გთავაზობთ, მაგრამ გამორიცხვით გამიჭირდება რაიმე გამოვრიცხო.

**ლალი ზირაქიშვილი**

◎ პოლიტიკური კრიზისი?

# „ბლუმბერგი: თავდაცვის მინისტრის გათავისუფლების გამო ქართულ კოალიციას საფრთხე ემუქრება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომლის მთავრობამ რუსეთთან კავშირები 2008 წლის ომის შემდეგ განაახლა, რისკზე მიდის, რომ კოალიცია დაირღვევა, თავდაცვის მინისტრის საჯაროდ კრიტიკის გამო.**

ირაკლი ღარიბაშვილმა ირაკლი ალასანია გუშინწინ თანამდებობიდან გაათავისუფლა მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრმა თქვა, რომ მისი უწყების თანამშრომლების დაპატიმრება პოლიტიკურადაა მოტივირებული. ალექსი პეტრიაშვილმაც, რომელიც ირაკლი ალასანიას პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია, განაცხადა, რომ გადადგება ევროპული და ევროატლანტიკური მინისტრის პოსტიდან.

ეს გადადგომები ყველაზე რთულ საკითხს წარმოადგენს მმართველი კოალიცია „ქართული ოცნებისათვის“, რომელიც მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს მიხეილ სააკაშვილის ბრძოლაში გამოსაწვევად შექმნა. როგორც გუშინ ირაკლი ალასანიამ „რუსთავი-2“-ის ტელეეთერში განაცხადა, ეს ბრძოლა საქართველოს საფრთხეში აგდებს, რადგან რუსეთი შეეცდება, საქართველოში იგივე სცენარი გაიმეოროს, რაც მოხდა უკრაინაში.

„ქართული ოცნება“ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილზე გასამარჯვებლად შეიქმნა“, — თქვა სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ქართული ფონდის ხელმძღვანელმა ალექსანდრე რონდელმა სატელეფონო საუბრის დროს, — ახლა, როცა საერთო მტერი აღარ ჩანს, კოალიციის წევრებმა თავიანთი ჭეშმარიტი პრიორიტეტები გამოავლინეს“.

„ქართულ ოცნებას“ პარლამენტში 150-დან 83 ადგილი უკავია, „თავისუფალი დემოკრატების“ 10 მანდატის ჩათვლით. ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრის პოსტზე, ირაკლი ალასანიას შემცვლელად, თავისი მოკავშირე მინდია ჯანელიძე დანიშნა, რომელიც მანამდე კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი გახლდათ.

## „პოლიტიკურად მოტივირებული“

**საქართველოს პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს ოთხი თანამშრომელი 28 ოქტომბერს დააკავა „დაუდევრობის“ ბრალდებით, რომელიც გასულ წელს მომხდარ კვების პროდუქტებით მოწამვლაში გამოიხატება და რომელმაც ასობით სამხედრო მოსამსახურის ავადმყოფობა გამოიწვია. „ეს დაპატიმრებები აშკარად პოლიტიკურადაა მოტივირებული და საქართველოს ევროატალინტიკურ ინტეგრაციაზე თავდასხმას ნიშნავს“,** — განაცხადა გუშინ ირაკლი ალასანიამ რეპორტიორების წინაშე, თანამდებობიდან გათავისუფლების წინ.

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელი ივნისში მოაწერა, ივლისში კი ამ დოკუმენტის რატიფიცირება მოახდინა. აღსანიშნავია, რომ შეთანხმების რატიფიცირება ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა მოახდინოს, რომლებიც, თავის მხრივ, შეშფოთებას გამოხატავენ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის ბრალდებების გამო.

„ჩვენ დაგეგმილი გვაქვს, ხვალ კოალიციის წევრებს შევხვდეთ და სერიოზულად ვისაუბროთ“, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ. რვა ნოემბერს „თავისუფალი დემოკრატები“ პარტიული ყრილობის ჩასატარებლადაც ემზადებიან.

ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრად შეარჩია ამ პოსტიდან თავისი წასვლის შემდეგ, ირაკლია ალასანიას განცხადებებს „აბსოლუტურად უპასუხისმგებლო“ უწოდა.

დავით ბაქრაძემ, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ დაარსებული ოპოზიციური ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელია, თავის მომხრეებს 15 ნოემბერს დაგეგმილ მიტინგში მონაწილეობისკენ მოუწოდა, ქვეყნის პროდასავლური კურსის მხარდასაჭერად და დღევანდელი მთავრობის მოქმედების დასაგმობად.

ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში 51 ადგილი აქვს.

**„ჩვენ პოლიტიკურ კრიზისს ვხედავთ, ისინი კი ამას უარყოფენ“,** — განაცხადა დავით ბაქრაძემ გუშინწინ „რუსთავი-2“-ის ტელეეთერში გამოსვლისას, — როგორ გავლენას მოახდენს ეს საზოგადოებაზე და იმ დაპირებებზე, რომლებიც მათ არ შეუსრულეს? არადა, ისინი ბევრ რამეს დაჰპირდნენ“.

**ჰელენა ბედველი.**

**(მოამზადა სიმონ კილაძემ)**

# საქართველოს მთავრობის შეთავაზება აფხაზებს არ მოსწონთ!

**დაკარგულ ტერიტორიებზე ლაპარაკის მორიგმა ტალღამ გადაუარა ქართულ პოლიტიკას, მედიას და აქედან გამომდინარე, საზოგადოებას. იყო „სერიოზული“ და „ზესერიოზული“ განცხადებები ქვეყნის პოლიტიკოსთა მხრიდან. იყო ხმაშეწყობილი (ცხადია ხელისუფლებასთან) პოლიტოლოგების „ღრმაშინაარსიანი“ ნათქვამიც და იყო ოპოზიციის, ამ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერთა კრიტიკული, თანაც ლანძღვაში გადასული განცხადებებიც.**

მათგან არაფერია გასაკვირი, როგორც ოპოზიციონერთა მხრიდან, მაგრამ გასაკვირია, როგორც ყოფილი მმართველი პარტიის მხრიდან, რომლის დანაშაულებრივმა გადაწყვეტილებებმა მიიყვანეს ქვეყანა ტერიტორიების დაკარგვამდე.

ნაციონალებს არ მოეწონათ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის განმარტება აფხაზთა მიმართ. პრემიერის ნათქვამი განმარტებას კი არა, უფრო მოწოდებას ნიშნავდა – იცხოვრეთ ჩვენთან, როგორც ავტონომიამო.

რაც შეეხება განმარტებას, ისიც ასეთი იყო – საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ქვეყნის გამოცხადება დაუშვებელიაო.

რა არ მოეწონათ ნაცებს? ის, რომ ავტონომიის შეთავაზება ძველი, „წვერებიანი“ თემაა და თავიდანვე წარუმატებლობისთვის განწირული? ახლებური მიდგომა არ ჩანს პრემიერის წინადადებაშიო – ამბობდნენ ნაცები.

ახლებური მიდგომა არც პრეზიდენტ მარგველაშვილის ნათქვამში ჩანს.

როგორც იქნა პრეზიდენტისა და პრემიერის პოზიცია აფხაზეთთან მიმართებაში ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც უმჯობესი იქნებოდა, არ დამთხვეოდა, ვინაიდან პრემიერის მიერ გაჟღერებული პოზიციით არ ჩანს სერიოზული ნაფიქრალი არც აფხაზეთის მისამართით და არც რუსეთთან დაკავშირებით – რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა არ იგეგმება, ვინაიდან შეხვედრას სერიოზული მომზადება სჭირდებაო, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მართალია ღარიბაშვილი, როდესაც ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკებას სერიოზული მომზადება სჭირდება. მაგრამ ცდება ღარიბაშვილი, როდესაც აცხადებს, რომ რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკება არ იგეგმება.

ვეთანხმები ბატონ ვალერი კვარაცხელიას, რომელმაც ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში განაცხადა, რომ სერიოზული მოლაპარაკების მომზადებას დრო სჭირდება, რომელიც თავზესაყრელად ჰქონდა „ოცნების“ მთავრობას. ის ხომ ორი წელიწადია, ქვეყნის სათავეშია?

თანახმად „ოცნებელთა“ წინასაარჩევნო დაპირებისა – რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება და განდგომილი ავტონომიების შემობრუნება – ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა. ეს თემებიც იმ შეუსრულებელი საკითხების ჩამონათვალში აღმოჩნდა, რომელთა მოლოდინში ლამისაა ხალხმა სული დალიოს.

ცხადია, ქართველი საზოგადოება აფხაზეთ-სამხრეთი ოსეთის „ოცნებურ“ დაბრუნებას ელოდება, მაგრამ გაცილებით მეტად ელოდება სხვა დაპირებების შესრულებას – დასაქმებას, პენსიების მომატებას, სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

წასულების შემობრუნებას რომ ნაკლებად ელოდება, ფაქტია და არა იმიტომ, რომ არ სურს მათი დაბრუნება, არამედ, საქართველოს გუშინდელ-დღევანდელი ხელისუფლების წყალობით, იცის რომ ეს პროცესი შეუსრულებადია. გუშინდელ და დღევანდელ ხელისუფალთ ნუ ეწყინებათ, რომ საზოგადოების ნიჰილიზმი მათი (ხელისუფლების) მეცადინეობით არის გამოწვეული.

წინა და იმის წინა ხელისუფლებამ ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ყოფილი ავტონომიები ჩამოგვშორებოდნენ. და ამ „ბევრ“ გაკეთებულში სამხედრო ძალის გამოყენებაც იყო, რაც ნეგატიურად აღიქმება არა მარტო იმათში, ვის წინააღმდეგაც სამხედრო ძალა იყო გამოყენებული, არამედ მსოფლიო საზოგადოებაშიც.

არ მითხრათ, მსოფლიო მხარს გვიჭერს ტერიტორიულ მთლიანობაშიო. დიახ! მხარს გვიჭერს სიტყვით და არა ამერიკელი, ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი ხალხი, არამედ მათი მთავრობები, რომელთაც სხვა მუცლის გვრემა სჭირთ - რუსეთთან პოლიტიკური ჭიდილი. ეს რომ არ იყოს, არც არავინ გაიზიარებდა საკუთარი ტერიტორიების დამორჩილებისთვის იქ მცხოვრები მოსახლეობის თავზე „გრადების“ დაყრას. ყველა ხმამაღლა, ერთხმად იტყოდა იმას, რასაც გულში ამბობენ, რომ თბილისი აგრესორია.

თბილისმა ორჯერ დაუშვა შეცდომა - 1992 წელს, როდესაც შეიარაღებული სახალხო ლაშქრით, „რკინიგზის დასაცავად“ შევარდა აფხაზეთში, რასაც ომი მოჰყვა და 2008 წელს, როდესაც ომი გააჩაღა ცხინვალში. პირველი ომის შედეგად ფაქტიურად დაიკარდა აფხაზეთი, ხოლო მეორე ომის შედეგად იურიდიულად დაკანონდა, ფაქტობრივად, დაკარგული.




პირველი ომი, 1992 წლის აგვისტოში დაწყებული, მას შემდეგ მოხდა, როცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიკვაიძემ, გაეროში საქართველოს გაწევრებასთან დაკავშირებით სიტყვა წარმოთქვა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისი, ავტონომიებთან, ყველა სადავო საკითხს მოლაპარაკების გზით გადაწყვეტდა. საქართველოს ხელისუფლებამ არაფრად ჩააგდო მინისტრის ფიცად ნათქვამი სიტყვები და ომი წამოიწყო.

დღეს ბევრი ამტკიცებს, რომ 2008 წლის ომი სააკაშვილმა დაიწყო და არა საქართველომ, რომ აგრესორი მხოლოდ ის არის, და არა საქართველოს მოსახლეობა; რომ საქართველოს მოსახლეობა ფრონტის ზონაში რუს ჯარისკაცებს აგრესიულად კი არ ექცეოდა – ხაჭაპურებით ხვდებოდა და ა.შ.

თითო-ოროლა თვითგადარჩენის ინსტიქტით გამოწვეული მოქმედება რუსეთის სიყვარულად ვერ შეფასდება და იმის მტკიცების საფუძვლად, რომ ომი ხალხმა კი არა, არამედ არამზადა, ავანტიურისტმა სააკაშვილმა დაიწყო. რატომღაც იგივენი არაფერს ამბობენ 1992 წლის ომზე და მის მთავარ ინიციატორ სახელმწიფო საბჭოზე – შევარდნაძე, კიტოვანი, იოსელიანი, სიგუა...

დიახ! ომს ქვეყნის მმართველები იწყებენ, მაგრამ ისინი ხალხის მიერ არიან არჩეულნი და ამდენად ქვეყნის სახელი ჟღერდება, როგორც ომის დამწყების და არა პიროვნების. ამერიკელს რომ ვკითხოთ, რომელმა პრეზიდენტმა დაიწყო ომი ვიეტნამში, ვერ გაიხსენებს და იტყვის ამერიკამ დაიწყოო.

საქართველოს შემთხვევაში, ხალხის „გათეთრება“ და სააკაშვილის „გაშავება“, საზოგადოებისგან პასუხისმგებლობის მოხსნის მცდელობაა და მეტი არაფერი. ჩვენ არ გვყოფნის ნებისყოფა, ვაღიაროთ, რომ სააკაშვილმა კი გადადგა საბედისწერო ნაბიჯი, მაგრამ თითოეული ჩვენგანი, პირდაპირ თუ ირიბად, მის გვერდით ვიდექით. მის გვერდით იყო ჯარი, პოლიცია, მთავრობა, ინტელიგენცია, რომელმაც პარლამენტის წინ ისეთი კონცერტი გამართა, მავანს გამარჯვების დღესასწაული ეგონებოდა.

სწორედ ხალხმა ჩაჰკიდა ხელი ერთმანეთს და ცოცხალი ჯაჭვი შექმნა „აგრესორის“ დასაგმობად, ანუ რუსეთის. არც ერთ ჩვენგანს თავში აზრადაც არ მოსვლია - რას ვშვებით. არც ერთ ჩვენგანს თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ აქტით უზომოდ ვეხმარებით და მხარს ვუჭერთ ნამდვილ აგრესორ სააკაშვილს. არც ერთ ჩვენგანს თავში არ მოსვლია, რომ სააკაშვილის მხარდაჭერით ვკარგავთ საქართველოს ძირძველ ტერიტორიებს. მაშინ საზოგადოებამ, პრეზიდენტი და ქვეყანა ერთმანეთს გაუთანაბრა.

დიახ! ჩვენ, ხალხი ვიყავით, რუსული აგრესიის წინააღმდეგ, ყველაფერი რუსულის წინააღმდეგ და ასე ვართ დღესაც სააკაშვილის და მისი ამერიკელი ბოსების ძალისხმევით. საქართველოს მოსახლეობა ისე გადაგვარდა, რომ ბევრი კარგიც დაივიწყა რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებიდან.

საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა დალაგდეს, რომ განდგილ ავტონომიებთან დამოკიდებულება მხოლოდ რუსეთზე გავლით მოხდება და არა ამერიკა-ევროპაზე.

არიან ისეთებიც, რომლებიც რუსეთს ნაკლებად ადანაშაულებენ მომხდარში, მაგრამ ოკუპანტად მაინც თვლიან. ისინი თავს არ იწუხებენ (ან ეშინიათ სიმართლის თქმის), ობიექტურად განიხილონ საქართველოს ე.წ. დამოუკიდებლობის წლები, ორი ომი და მხოლოდ მას შემდეგ გააკეთონ შესაბამისი დასკვნები. და რახან ასეა, ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი ურთიერთობის დალაგებისთვის, მაგრამ გვეხამუშება ამის გაკეთება და ხელისუფლებას ვაბრალებთ უმოქმედობას.

ხელისუფლებაც საზოგადოების პირმშოა. ის ხედავს ხალხში არსებულ რუსულ სიძულვილს და აქაოდა, ჩემი ინიციატივით სულ არ გავიფუჭო ავტორიტეტიო – რუსეთს აგრესორს და ოკუპანტს უწოდებს, თან არა მარტო შინ, არამედ მთელს მსოფლიოში, ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის ტრიბუნიდან.

ასეთი ქმედებით გამოვა რამე? – არც არაფერი!

რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკება არ იგეგმებაო – აცხადებს ღარიბაშვილი. კეთილი, მაგრამ მოლაპარაკების გარეშე შეიძლება ურთულესი ქართულ-რუსული ურთიერთობების მოგვარება?

საერთაშორისო საზოგადოება, დასავლელი პარტნიორები მოგვიგვარებენ ყველაფერსო, – ამბობს მთავრობა. ამავეს ამბობდა წინა მთავრობაც და იმის წინაც, მაგრამ შედეგი – ერთობ უფერული. ღარიბაშვილის ეს განცხადება მარტო მისია, თუ სხვისი, ანუ მესამე მხარის? ეჭვი მიჩნდება, რომ ამერიკაზე ჩამოკიდებული „ოცნების“ ხელისუფლებას რაიმე წამოსცდენოდა მასთან შეუთანხმებლად. აკი ა.წ. თებერვალში პრეზიდენტმა მარგველაშვილმა პუტინის განცხადების პასუხად თქვა –შევათანხმებთ პარტნიორებთან და ვიტყვით, შედგება თუ არა პუტინთან შეხვედრაო. ერთი წლის შემდეგ პრემიერი, უარს ამბობს შეხვედრაზე.

პასუხს, ერთი წელიწადი ნამდვილად არ სჭირდებოდა. და როდესაც მოსკოვმა, მრავალი თვის განმავლობაში, ვერაფერი დადებითი მოისმინა თბილისის მხრიდან, აფხაზეთთან ხელშეკრულების გაფორმება დააპირა. არის მოსკოვი დამნაშავე? ჩემი აზრით – არა.

მაგრამ მოსკოვმა რომ აზრი შეიცვალოს და ნახევარი ნაბიჯი გადმოდგას ჩვენსკენ, რატომ არ იღვწის „საოცნებო“ ხელისუფლება? იმიტომ, რომ ოპოზიციამ არ წამოსძახოს „რუსეთუმეობა“. იმიტომ, რომ მისი „რუსეთუმეობის“ თემა არ აგორდეს მედიაში. წინ მომავალი საპარლამენტო არჩევნებია და „რუსეთუმეობის“ იარლიყით გაჭირდება გამარჯვება. მაგრამ საქართველო რომ აგებს?

„ოცნებელთა“ აზრით, საქართველო მოითმენს. რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ჟივჟივი და გულზე სახელისუფლებო მჯიღის ცემა რაღაა? – დაუოკებელი მებრძოლის უნიათო დემონსტრირება და მეტი არაფერი.

რა ბედნიერი იქნებოდა ხელისუფლება, ეს განდეგილი ყოფილი ავტონომიების საკითხი რომ არ ჰქონდეს მოსაგვარებელი?! იქნებოდა მშვიდად, საამურ უცხოურ ვოიაჟებში გართული. მაინც რა უბედურება არგუნა ღმერთმა, თან ეს დამნაშავე ოპოზიციაც რომ პერმანენტულ რეჟიმში გაჰყვირის – სად არის დანაპირები აფხაზეთ-ოსეთიო?

„ოცნებელები“ განდეგილებს ძველ სტატუსს სთავაზობენ, თან იმასაც ეუბნებიან, რომ ჩვენ ევროკავშირში ვიქნებით და თქვენც ჩვენთან ერთად „აშენდებით“ ამ „შესანიშნავ“ კავშირშიო, თან უვიზოდ ივლით ევროპაშიო. ამას რომ აცხადებენ „ოცნებელები“, მინიმუმ ორ რამეზე არ ფიქრობენ – განდეგილებს გაგონებაც არ უნდათ ევროკავშირის და ნატოსი... ევროპაში მიმოსვლასთან დაკავშირებით კი მათაც კარგად იციან, რა „სიხარულით“ ელიან ევროპელები იქ ჩასულ უცხოელებს.

სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, ევროპელები უკმაყოფილონი არიან იმიგრანტთა რაოდენობის ზრდით. ასეთი განწყობა არის მთელს ევროკავშირში. ევროპელთა აზრით, ჩასულები დიდი პრობლემაა მათთვის. იტალიელთა 70% წინააღმდეგია მათი იტალიაში ჩასვლით. მეორე ადგილზე საფრანგეთია, იქ 50%-ია წინააღმდეგი. გერმანიაში – 40%.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბლერი მოითხოვს, შეიზღუდოს მიგრანტთა გადაადგილება ევროკავშირში. მას სურს არა მარტო არაევროკავშირის

წევრი სახელმწიფოებიდან ჩასულთა რაოდენობის შემცირება, არამედ თვით ევროკავშირში მცხოვრები ადამიანების ნაკადის შემცირებაც...

**ჰამლეტ ჟიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს ხელისუფლებას „ევროპული სახალხო“ ულტიმატუმი წაუყენეს

**ევროპარლამენტის უდიდესი ფრაქცია – ევროპის სახალხო პარტია – დაიმუქრა, დაბლოკოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია. ევროპის სახალხო პარტიის წევრების განცხადებიდან ირკვევა, რომ ეს მოხდება, თუ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება უარს არ იტყვის შერჩევითი მართლმსაჯულების პრაქტიკაზე ქვეყნის ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის თანამებრძოლებთან დაკავშირებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიიდან, რომელიც ევროპის სახალხო პარტიის პარტნიორია.**

**საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია შეიძლება დაბლოკონ სააკაშვილის თანამებრძოლებზე სასამართლოს გამო**

იმის შესაძლებლობის შესახებ, რომ გამოვიდნენ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების წინააღმდეგ, ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლებმა ორშაბათს ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადეს. **„საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ყოფილი პრეზიდენტისა და მისი პოლიტიკური პარტიის დევნა“,** – ვერ მალავდა თავის აღშფოთებას ევროპარლამენტის წევრი პოლონეთიდან ანა ფოტიგა. მისმა კოლეგებმა ფრაქციიდან განაცხადეს, რომ კენჭისყრა საქართველოსთან ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხზე გაიმართება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა უჩვენებს თავის უარს „ორმაგ სტანდარტებზე და შერჩევით მართლმსაჯულებაზე“ სასამართლო პროცესების დროს, რომლებიც შეეხება საქართველოს ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის ყოფილ ხელქვეითებს. უწინარეს ყოვლისა, საკითხი შეეხება ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს, თავდაცვის სამინისტროს ექს-ხელმძღვანელს ბაჩანა ახალაიასა და თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას. „ჩვენ ზემოქმედება უნდა მოვახდინოთ საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა მან შეწყვიტოს ამგვარი მოქმედებები“, – დაასკვნა დისკუსიის დამთავრების დროს ქალბატონმა ფოტიგამ.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ჰერბერტ სალბერი დაიმუქრა, რომ „მიიტანს საქართველოს ხელისუფლებამდე“ ევროპარლამენტის წევრების აზრს. **„მე ვეტყვი მათ, რომ ევროკავშირს აქვს სერიოზული შეკითხვები მის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ოპოზიციონერებისადმი“,** – განაცხადა ბატონმა სალბერიმ.

მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერები შეეცადნენ შეემცირებინათ ულტიმატუმის მნიშვნელობა, რომელიც მათ წაუყენეს უდიდესმა ევროპულმა პარტიამ. „ევროპაში ყველა როდია დამოკიდებული ევროპულ სახალხო პარტიაზე“, – განაცხადა მთავრობის ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ. პარლამენტის იურიდიული საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელმა ვახტანგ ხმალაძემ კი დაარწმუნა ჩვენი გაზეთი, რომ, თუ დეპუტატები ევროპის სახალხო პარტიიდან სასამართლო პროცესებს სააკაშვილსა და მის გარემოცვაზე მიიჩნევენ **„შერჩევით მართმსაჯულებად“, უნდა დაასაბუთონ ეს დოკუმენტურად. „თუ ვინმე თეთრს შავს უწოდებს, ეს მან უნდა დაადასტუროს კიდეც“,** – დაუმატა ბატონმა ხმალაძემ.

თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან დავით დარჩიაშვილმა ჩვენთან საუბარში კატეგორიულად განაცხადა: შერჩევითი მართლმსაჯულების გამოყენება „უკვე დადასტურებულია და არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს ეჭვიც არ ეპარება რუსი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის მცდელობაში – გაუსწორდეს ოპოზიციას“ (ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ჩრდილოვან ლიდერად ითვლება).

Коммерсантъ

◎ ყველაფერი ყველაფერზე

## უნიკალური ნადავლი

**ეს უზარმაზარი თევზი-მთვარეები ბედნიერმა მებადურებმა სამხრეთ კალიფორნიის ნაპირებთან დაიჭირეს.**

ეგზოტიკური თევზაობის მოყვარულებმა დიდი ხანია, იციან, რომ ეს მეტად უცნაური ფორმის, ერთობ ფანტასტიკური იერის მქონე თევზები ძალიან ძნელი დასაჭერია. ამდენად, ერთბაშად სამი ასეთი გოლიათის მონადირება, უფრო სწორად კი „მოთევზება“, ერთგვარად უნიკალურ შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ.

## რუსული „ატლანტიდა“

**მოსკოვის მახლობლად ცნობილ რიბინსკის წყალსაცავში წყლის დონემ წლეულს ზაფხულში იმდენად დაიწია, რომ ჩაძირული ქალაქი მოლოგა გამოჩნდა.**

ჰიდროლოგები აღნიშნავენ, რომ რიბინსკის წყალსაცავში წყლის დაწევა სეზონური მოვლენაა. ამასთან, ქალაქ მოლოგას ნარჩენების – ჩანგრეული სახლების, სასაფლაოს წაქცეული ძეგლების, მოკლედ, ყველაფრის, რაც საბოლოო განადგურებას ჯერ-ჯერობით გადაურჩა, შეუიარაღებელი თვალით დანახვა წყლის ნორმალურ დონეზე ყოფნის დროსაც შეიძლება.

აღსანიშნავია, რომ ქალაქი მოლოგა წყალქვეშ 1940 წელს აღმოჩნდა. ქალაქთან ერთად ჩაიძირა 700-ზე მეტი სოფელი. როგორც ამბობენ, მაშინ 300-მდე ადგილობრივი მცხოვრებიც დაიღუპა – ისინი, ვინც მშობლიური კერიის მიტოვება არ ისურვა.

## ზედმეტი, თურმე, არაფერი არა გვაქვს

**იმ დრო, როცა აპენდიქსი, გლანდები, კუდუსუნი ადამიანის ორგანიზმში ატავიზმებად იყო მიჩნეული, ამიტომაც აპენდიციტისა და გლანდების ოპერაციები შვილებზე მზრუნველი მშობლების ერთგვარი „პრესტიჟის საქმე“ იყო, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ადამიანს „ზედმეტი“ არაფერი არა აქვს...**

გამოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ აპენდიქსი ადამიანის იმუნური სისტემის მნიშვნელოვანი ორგანოა, რომელიც საჭმლის მონელების ტრაქტის ანთებითი დაავადებებისთვის უაღრესად ქმედითი ბარიერია.



გლანდების ლიმფური ქსოვილი იმ ინფექციების ნეიტრალიზებას ახდენს, რომლებიც ორგანიზმში საყლაპავიდან ხვდება.

კუდუსუნზე კი თეძოების ფსკერის ნერვები და მრავალი კვანძია მიმაგრებული, მჯდომარე ადამიანის დახრის დროს ის საყრდენის როლს ასრულებს.

## ფილიპ ვან დერ დეკენის უცნაური და სევდიანი ამბავი

**მსოფლიოში ერთადერთი მოჩვენება არსებობს, რომელსაც დედამიწის უკლებლივ ყველა ქვეყანაში ცნობენ და რომლის იერი ასე განსხვავებულია ფანტომთა „ჩვეულებრივი“ გარეგნობისგან. საქმე ის გახლავთ, რომ ეს მოჩვენება ადამიანი კი არა, იალქნიანი ხომალდია, რომელსაც „მფრინავი ჰოლანდიელის“ სახელით იცნობენ.**

ამ გემს უამრავი საიდუმლოთი მოცული, სევდიანი ისტორია აქვს. ზღვაოსნები მას დღეს-დღეობითაც ხვდებიან ხოლმე, უმეტესწილად, სამხრეთ აფრიკის ნაპირებთან, რაც, ლეგენდით, მათ კარგს არაფერს უქადის: გადმოცემით ამ მოჩვენების დანახვა ჩაძირვის, მეკობრეებთან შეხვედრის ან სხვა მომაკვდინებელი საფრთხის გადაყრის მაუწყებელი ნიშანია.

განა რა არის ამ გემში ასეთი მისტიკური, რით ვეღარ დასრულდა ოკეანეში მისი უსასრულო უმიზნო მოგზაურობა და რით აფორიაქებს იგი მის დამნახავ მეზღვაურებს? „მფრინავი ჰოლანდიელის“ პირველ კაპიტანს ფილიპ ვან დერ დეკენს ლამაზი ქალიშვილი ტერეზა უიმედოდ უყვარდა. ეჭვიანობით გონებადაბინდულმა ფილიპმა ქალიშვილის საქმრო მოკლა, ქალიშვილმა თავს დატეხილი უბედურება ვერ გადაიტანა და მაღალი კლდიდან ზღვაში გადახტა... დამნაშავემ თავს გაქცევით უშველა, რა დროსაც მისი გემი უძლიერეს ქარიშხალში მოჰყვა. ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა აზრი გამოთქვა, რომ უმჯობესი იქნებოდა ერთ-ერთ ყურეში თავის შეფარება, მაგრამ ავს აყოლილმა ვან დერ დეკენმა იგი მოკლა, დანარჩენებს კი მიახალა, რომ ვიდრე გემი კეთილი იმედის კონცხს არ შემოუვლიდა, ვერც ერთი მათგანი ხმელეთზე ფეხს ვერ დადგამდა. ამის გაკეთება მართლაც ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო, რადგან ხომალდი ოკეანეში უკვალოდ გაქრა.

იმ დროიდან მოყოლებული მფრინავ ჰოლანდიელს სწორედ იმ ადგილის მახლობლად ხედავენ, სადაც ის თავის შეფარებას აპირებდა, მაგრამ ამის გაკეთება არ ეწერა. მისი მხილველი მეზღვაურები ირწმუნებიან, რომ გემბანზე შეიძლება მოძრავი ადამიანების დალანდვა, თუმცა კი, გემის გაუჩინარებიდან რამდენიმე საუკუნე გავიდა, ამდენად, ვერც ერთი კაცი ცოცხალი ვერ გადაურჩებოდა.

„მფრინავი ჰოლანდიელის“ მოვლენას სკეპტიკოსები მირაჟით ხსნიან, თუმცა კი, ძნელი სარწმუნოა, რომ რაღაც მირაჟის ამბავი ასე მთელ მსოფლიოს მოედო, ხოლო თავად ხომალდს ამდენი ხნის შემდეგაც ხედავენ და იგი ძველებურად ავის მომასწავებელია.

## დედამიწის ზურგზე

### ვაშინგტონის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, მოახდინონ მარიხუანას საბოლოო ლეგალიზება

**დედაქალაქის კოლუმბიის ოლქში კენჭისყრის შედეგად ამომრჩეველთა 64 პროცენტმა განაცხადა „კი“, 29 პროცენტი კი წინააღმდეგი იყო. ასევე 4 ნოემბერს გადაწყვიტეს, გამოიყენონ მარიხუანა სამედიცინო მიზნებისთვის წყნარ ოკეანეში ათოლ გუამის მცხოვრებლებმა. ამ დროს ფედერალურ დონეზე მარიხუანა ძველებურად კლასიფიცირდება, როგორც აკრძალული ნივთიერება.**

### ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაეროს უშიშროების საბჭოს შესთავაზა, შემოიღოს სანქციები სამხრეთი სუდანის წინააღმდეგ

**რეზოლუციის პროექტი წარდგენილი იქნება კვირის ბოლომდე. ამერიკის შეერთებულ შტატებში იმედი აქვთ, რომ წერტილოვანი სანქციები ხელს შეუწყობს მშვიდობიან მოლაპარაკებას. სამართალდამცველების მონაცემებით, ეთნოსთაშორისმა ძალადობამ ქვეყანაში სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 10 ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირა.**

### აშშ-ში აჯამებენ არჩევნების შედეგებს: რესპუბლიკელებმა მოიპოვეს აღგილები სენატში

**რესპუბლიკელებმა შეძლეს მიიღონ კონტროლი სენატზე, აგრეთვე განამტკიცონ თავიანთი უპირატესობა წარმომადგენელთა პალატაში. ამას გარდა, არჩევნებთან ერთად კონგრესში გუბერნატორების არჩევნებმა ასევე არასასიამოვნო სიურპრიზები მოუტანა დემოკრატებს.**

### ჩრდილოეთმა კორეამ ურანის გამდიდრების ახალი ქარხანა აამოქმედა

**ეს ორჯერ ზრდის მის შესაძლებლობას ბირთვული იარაღის დამზადებაში: ახალ საწარმოში ერთი წლის განმავლობაში იარაღის ურანის წარმოება საკმარისია 4-ნ ბირთვული ჭურვის დამზადებისთვის.**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი № 1**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპიტალება.<br>ზ) უნდა განხორციელდეს ჭებზე ბეტონის კონსტრუქციების წესრიგში მოყვანა, მათი შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2014 წლის 3 ოქტომბრის N5/36949 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები. |
| | | ი) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეების არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ლიკანის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ოთხიდე ჭაზე ერთად) - 109 500 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ლიკანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 539 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 353,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 908 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 2**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა |
| | ობიექტით სარგებლობისათვის | ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპიტალება;<br>ზ) უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის გადახურვა და შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კუტლიარის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 750 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კუტლიარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 205 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 3**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა |

| | | |
|---|---|---|
| | | მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებული პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ჭაბურღილზე ჰერმეტიზაცია უნდა შენარჩუნდეს ექსპლოატაციის პერიოდში.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2014 წლის 3 ოქტომბრის N5/37004 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>ი) ლიცენზიის მფლობელი მოქალაქეებს არ შეუზღუდავს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლებას.<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 825 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 59 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 212 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გაპარკვევებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე.<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება.<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს |
| | | დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ანანურის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 365 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ანანურის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 202 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გაპარკვევებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ-ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი |
| | სარგებლობისათვის | ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭა) საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. პირმისაანის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 180 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. პირმისაანის მიმდებარე |

| | | |
|---|---|---|
| | ადგილმდებარეობა | ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 201 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ)ჭაბურღილზე ტერიტორია შემოსაღობია და საჭიროებს დასუფთავებას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. საკაჭის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 180 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. საკაჭის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 201 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 38 577 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 857,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 7 915 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 21** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების პროექტის მიხედვით;<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისთვის მიღებული უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფახვიჯის მიმდებარე ტერიტორია, „ფახვიჯი"-ს ტრავერტინის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 14 500 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფახვიჯის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 22** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |

| | | |
|---|---|---|
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ბ) წიაღისეულის მოპოვება უნდა მოხდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ქსანზე „ქსნის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 23 400 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარდისუბნის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 804 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 380,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 961 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 23** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეგაანის მიმდებარე ტერიტორია, „ჭერმისხევის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 18 600 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეგაანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 024 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 302,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 805 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 6 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 8 დეკემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

◎ წიგნის თარო

# ბევრი ლამაზი სიტყვა რუსთავქალაქზე

**„ჩვენი ქვეყანა, მართლაც ბაჯაღლო ბეჭედივით მოკიაფეა და ამ თვალისმომჭრელ ბეჭედში პატიოსანი თვალებივით აელვებულ სხვა ქალაქებს შორის, ყველაზე ახალგაზრდა, ყველაზე მრავალეროვანი, ყველაზე მრავალფეროვანი ადათითა და წესით გამორჩეული ქალაქი სწორედ რუსთავია“,** — წერს დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხისა და მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ბატონი **გივი ჯახუა** შესანიშნავი ალმანახის **„ვარ რუსთაველის“** წინასიტყვაობაში, რომლის მთავარი რედაქტორიც თავად გახლავთ.

მხოლოდ მშობლიურ ქალაქსა და ქალაქელებზე, მათ ჭირსა და ლხინზე, მისწრაფებებსა და სულიერი საზრდოს გამომზეურებელ-მფარველ ადამიანს შეეძლო ასე დიდი სიყვარულითა და პროფესიონალიზმით შეეკრიბა „ბოსტან-ქალაქის“ ყველა შემოქმედი — პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, მხატვარი და „ვარ რუსთაველში“ გაეერთიანებინა მათი შესანიშნავი შემოქმედებით. თითქმის არავინ გამორჩენია ბატონ გივის, რუსთაველთა ყველა თაობა, რუსთავზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები, არც ისინი დავიწყნია, რომელთა სახელები ქართულ ისტორიას საამაყოდ შემორჩენია, რომლებიც ერთხელ მაინც სწვევიან ამ ლამაზ ქალაქს — დიდი გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია და გოგლა ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი და ხუტა ბერულავა, ბესარიონ ჟღენტი და ვერიკო ანჯაფარიძე. ალმანახში მრავლადაა მოგონებები ამ დიდ მამულიშვილებზე. ქალაქის ისტორიის მატიანე უხსოვარი დროიდან დღემდე ბევრ საინტერესო ფაქტს გვაწვდის.

**„ჩვენ შევეცადეთ, შეგვექმნა ლიტერატურული, მხატვრული წიგნი-მატიანე, რამეთუ განახლებული რუსთავის სათავესთან იდგნენ ჭეშმარიტად რაინდული სულის ადამიანები, მამულიშვილები, ერის კაცები, შემოქმედნი, მშენებელი თუ მეტალურგები, ქიმიკოსები... ვამაყობ იმით, რომ ათწლეულების მანძილზე მეც მათ გვერდით ვიდექი როგორც მეტალურგი, შემდგომში ჟურნალისტი და ვეცადე დავიწყებისთვის არ მიმეცა მათი სახელები. თუ რაოდენ შევძელი, ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდია“,** — წერს მთავარი რედაქტორი.

როგორც რიგითმა მკითხველმა, შემიძლია, გულახდილად ვთქვა, რომ ბატონმა გივი ჯახუამ შესძლო და შესანიშნავადაც შესძლო მოფერებოდა თავის ქალაქს. ამ წიგნის საშუალებით მთელი ქვეყნისთვის გაეცნო ის უნიჭიერესი შემოქმედნი, რომლებიც მის თანაქალაქელებად ითვლებიან.

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ ჟურნალი მაღალპროფესიულ დონეზეა გამოცემული. მის ვიზუალურ მხარეს კი, ჩანართების სახით, რუსთაველი მხატვრების ფერწერული ტილოების რეპროდუქციებიც ალამაზებენ. იმის იმედით, რომ გამოცემას ხელშეწყობა ექნება, ქალაქ რუსთავის მერის ბატონ **დავით ჯიქიას** სიტყვებიც გვაძლევს: **„პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი მშობლიური ქალაქის ისტორია ერთ წიგნად გამოდის. უაღრესად მოხარული ვარ და მადლობა მინდა, გადავუხადო წიგნის ავტორებს და მთელ მის შემოქმედებით ჯგუფს ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის“.**

ჩვენც იმედს ვიტოვებთ, რომ ნებისმიერ მკითხველს, რომელსაც ხელში ჩაუვარდება „ვარ რუსთაველი“, სურვილი გაუჩნდება, რომ იგი პერიოდული სახით გამოვიდეს, რათა ჭეშმარიტ ხელოვნებას ეზიაროს.

**მამუკა ვაშაკიძე**




◎ რატომ ვამბობთ ასე

# „ნერვი“ და „ნევროზი“

**ძართული ენის** **სიწმინდისათვის ზრუნვა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. ამ მხრივ გამორჩეულ პატივისცემას იმსახურებს ტელეარხი „ერთსულოვნება“.** აქ სისტემატურად იმართება საუბრები ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი გადაცემა პროფესორ თამარ ვაშაკიძის მონაწილეობით, ვიხილეთ ა.წ. 23 ოქტომბერს. გადაცემის მიწურულს ტელეწამყვანმა დასვა ასეთი შეკითხვა:

„არი(ს) „ნერვი“, მაშინ რატოა (!) „ნევროზი“?

შეკითხვას პროფესორმა ასე უპასუხა:

„რაც შეეხება „ნერვს“ და „ნევროზს“, ასეა. მე ნეიროქირურგებსაც ვკითხე ეს და მიპასუხეს: „ნერვია“, მაგრამ „ნევროზია“. ასეა, ასე მომდინარეობს (!) ტერმინი“.

რადგან „ასე მომდინარეობს“, ჩვენც თურმე მექანიკურად ვიმეორებთ ამ სიტყვებს და ვერ გაგვირკვევია, თუ რატომ „მომდინარეობს ასე“.

ვეჭვობ, რომ მედიცინის მუშაკებს ასეთი არაკვალიფიციური პასუხი გაეცეთ ენათმეცნიერი პროფესორისთვის: „ვერ გეტყვით, რატომ არის ასე, მაგრამ ასეაო“. ვეჭვობ იმიტომ, რომ შეუძლებლად მიმაჩნია პროფესორის ნაცნობ ექიმებს ელემენტარულ დონეზე მაინც არ ჰქონოდათ წარმოდგენა ლათინურ და ძველ ბერძნულ ენებზე. ლათინურის უმეცარი ექიმი რა ექიმია? საქმე ის გახლავთ, რომ **„ნერვუს“,** რომელიც ნიშნავს **„ნერვს“, „ძარღვს“,** ლათინური სიტყვაა, ხოლო მისი ეკვივალენტი **„ნევრონ“** — ძველბერძნული სიტყვა (ნეიროქირურგმა ისიც უნდა იცოდეს, რომ **„ნეირ“** და **„ნევრ“** — ერთი და იგივეა). ეს არის და ეს. ძნელია ამის დამახსოვრება?

ენათმეცნიერი პროფესორი ზედმეტად გარჯილა ნეიროქირურგების მოძიებით. ამ მარტივ საკითხში გარკვევა უფრო იოლად შეიძლებოდა.

ამას ქვია ღია კარის მტვრევა...

მაგრამ არა უშავს, ნათქვამია: „სწავლა სიბერემდეო“.

**ტარიელ (ელგუჯა) გელენავა,**
**მწერალი, ბიზანტინოლოგი,**
**აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი**

◎ ალიანჩალიანი

# საქველმოქმედო აქცია სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის

**ძუთაისში, ქართულ-გერმანულ ცენტრში საქველმოქმედო აქცია გაიმართა. გერმანიის პარტნიორი ორგანიზაციები ქუთაისთან აქტიურად თანამშრომლობენ.**

**გუშინ გერმანულ-ქართული ცენტრის ხელმძღვანელმა როლანდ კოლბეკმა ქუთაისის მერ შოთა მურღულიასთან და ქართულ-გერმანული ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებს ფულადი დახმარება გადასცა. ფულადი დახმარება ერთი წლის მანძილზე შეგროვდა. დახმარება 200-მდე ბავშვს გაეწია.**

**ქართულ-გერმანული ცენტრი საქველმოქმედო აქციებს გერმანელი ქველმოქმედების მეშვეობით პერმანენტულად ატარებს. საქველმოქმედო აქციები მთელი კვირის მანძილზე გაგრძელდება. როლანდ კოლბეკი მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებს შეხვდება.**

**„ქართულ-გერმანული ცენტრი ამ ქალაქში კეთილ საქმეს აკეთებს და ბევრ სოციალურ პროგრამებს ახორციელებს. წლის მანძილზე ასობით ოჯახს ეხმარებიან. ჩვენ მივესალმებით ასეთი სახის აქციებს. რაც უფრო მეტი ადამიანი და ორგანიზაცია ჩაერთვება სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებაში, ეს იქნება ძალინ კარგი. ყველამ ერთად უნდა გადავჭრათ პრობლემა“, — აღნიშნა ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ.**

# პოლიციამ გარემოვაჭრეებს საქონელი ჩამოართვა

**მეტროსადგურ „სადგურის მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, გარემოვაჭრეებს საპატრულო პოლიციამ საქონელი ჩამოართვა. როგორც ერთ-ერთი გარემოვაჭრე ნონა ხურცილავა ჰყვება, მას პატრულმა დაახლოებით 500 ლარამდე ღირებულების საქონელი იმ დროს ჩამოართვა, როდესაც საწყობიდან დახლზე გასაყიდად გამოჰქონდა.**

**გარემოვაჭრეების ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის მხრიდან საქონლის ჩამორთმევისა და გარევაჭრობის გამო მათი დაჯარიმება 20 ან 100-ლარიანი ჯარიმით ხშირად ხდება. გარემოვაჭრეებთან იმყოფებოდა უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი, რომელიც გარევაჭრობის ლეგალიზაციაზე საუბრობს.**

**„საჭიროა იყოს ადგილები, სადაც დაშვებული იქნება გარევაჭრობა და სადაც იქნება დაცული სანიტარიული ნორმები“, — განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.**

**ინტერპრესი**

◎ არის თუ არა განათლება წარმატების გარანტი?

# უდიპლომო მილიარდერები

**შეგვიძლია ვთქვათ, რომ განათლება წარმატების გარანტიას არ იძლევა.**

**ბევრი რამე, რასაც უმაღლეს სასწავლებელში ასწავლიან, უბრალოდ, პრაქტიკულ ღირებულებას არ წარმოადგენს. გარდა ამისა, გარკვეული დროის შემდეგ ბევრი რაღაცა გავიწყდებათ, რაც უმაღლეს სასწავლებელში მოისმინეთ.**

**რეალური სარგებელი მხოლოდ იმ ცოდნას აქვს, რომელიც პრაქტიკული მოქმედების დროს მიიღეთ და ისწავლეთ.**

**მსოფლიოში არაერთი მილიარდერია, რომელსაც უმაღლესი განათლება არ აქვს. მათ წარმატებას იმ ცოდნით მიაღწიეს, რომელიც პრაქტიკული მოქმედების დროს მიიღეს.**

**გთავაზობთ იმ ადამიანების მაგალითებს, ვინც წარმატებას უმაღლესი განათლების გარეშე მიაღწია.**

1. **სტივ ჯობსი** — სწავლის დაწყებიდან ნახევარი წლის შემდეგ კოლეჯიდან წავიდა და ისე იცხოვრა, რომ უმაღლესი განათლება არც მიუღია.
2. **ბილ გეითსი** — ჰარვარდიდან ისე წავიდა, რომ სწავლა არ დაუსრულებია, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი, მილიარდერი გამხდარიყო და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველა დიდი კორპორაცია შეექმნა.
3. **მარკ ცუკერბერგი** — ჰარვარდში სწავლისას დაარსა „facebook“ თუმცა, სწვალა არ დაუმთავრებია.
4. **რომან აბრამოვიჩი** — იგი მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლის მისაღებ გამოცდებში ჩაიჭრა.
5. **ინგვარ კამპრადი** — დღეს ის ავეჯისა და საოჯახო საქონლის ყველაზე დიდ კომპანიას **IKEA**-ს ფლობს, თუმცა, უმაღლესში არასდროს უსწავლია.
6. **ჰენრი ფორდი** — მან შექმნა კონცეფცია „ავტომობილი თითოეული ადამიანისთვის“, რათა მხოლოდ მდიდარ ადამიანებს არ ესარგებლათ ამ პრივილეგიით. არც მას ჰქონია უმაღლესი განათლება.

◎ მდიდრებიც ტირიან

# მილიარდერები, რომლებიც უცებ გაღატაკდნენ

1. ისლანდიის რიგით მეორე ყველაზე მდიდარი კაცი **ბიორგოლფურ გუდმუნდსონი** 2009 წელს გაკოტრდა. ლუდის მხარშავი მილიონერი გახდა „ლენდსბანკის“ მეწილეობით და საფეხბურთო კლუბ „ვესტ ჰემის“ ფლობით. ისლანდიური საბანკო სისტემის კოლაფსის გამო მისი აქციები თითქმის ნულის ფასი გახდა და გუდმუნდსონიც გაკოტრდა.
2. ტეხასელი **ალან სტენფორდი** ამერიკის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო 2,2 მილიარდი დოლარის ქონებით. 2009 წელს სტენფორდი კლიენტებს ყალბ დეპოზიტებს აძლევდა თავისი ოფშორული ბანკიდან. 20 000-ზე მეტი ინვესტორი დღემდე ელოდება ფულის დაბრუნებას. სტენფორდს 110 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.
3. 2008 წელს **შონ ქუინი** ირლანდიის ყველაზე მდიდარი ადამიანი იყო 6-მილიარდიანი ქონებით. 2007 წელს ქუინმა ქონების ნაწილი ანგლო-ირლანდიულ ბანკში ჩადო. რამდენიმე თვეში ბანკმა დიდი დანაკარგი განიცადა. ირლანდიამ მომავალი კოლაფსის ასარიდებლად ბანკის ნაციონალიზაცია მოახდინა და ქუინის ინვესტიცია დაიკარგა. ახალმა ბანკმა ძველი მფლობელები საქმიდან გაიყვანა და ქუინს და მის ოჯახს მხოლოდ 15 000 დოლარი დაუტოვა საბანკო ანგარიშზე.
4. **მასაიოში სონმა** 70 მილიარდი ამერიკული დოლარი დაკარგა, მაგრამ იაპონიაში მაინც რიგით მეორე უმდიდრეს ადამიანად ითვლება. 1981 წელს „იაპონელმა ბილ გეითსმა“ დააარსა „სოფთბანკი“, ინტერნეტის და ტელეკომუნიკაციების უმსხვილესი კომპანია. 2004 წელს ინტერნეტის კრახის გამო, „სოფთბანკის“ აქციები 98%-ით გაიაფდა და სონმა ისტორიაში ყველაზე დიდი ოდენობის ფული დაკარგა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წელიწადში „სოფთბანკი“ ისევ მოწინავე კომპანია გახდა და სონმა თითქმის მთლიანად დაიბრუნა დაკარგული მილიარდები.
5. ბრაზილიელი **ეიკე ბატისტა** მსოფლიოში სიმდიდრით მერვე ადამიანი იყო. როდესაც ნავთობკომპანია, რომლის მფლობელიც ბატისტა იყო, გაკოტრდა, მან 16 თვეში 33 მილიარდი დოლარი დაკარგა.

**მოამზადა**
**ნათია ცუხიშვილმა**

◎ ჭადრაკი

# ვეტერანებში ქართველებმაც იყოჩაღეს

**თითო „ოქრო“ და „ვერცხლი“ — ასეთი შედეგით დაასრულეს საბერძნეთში გამართული ვეტერან მოჭადრაკეთა 24-ე მსოფლიოს ჩემპიონატი საქართველოს წარმომადგენლებმა. განსაკუთრებით დიდოსტატმა ზურაბ სტურუამ იყოჩაღა — 50 წელს გადაცილებულ ვაჟებში მან 8.5 ქულა მოაგროვა და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილზე ინგლისელი კენტ არკელი გავიდა. მისმა თანამემამულე ჯონ ჰუნმა 8 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.**

ქალთა პირველობაში ყველას რუსმა სვეტლანა მედნიკოვამ აჯობა — ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა 11 შესაძლებლიდან 8.5 ქულას მოუყარა თავი და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა და მსგავსი შეჯიბრებების ორგზის გამარჯვებულმა ნონა გაფრინდაშვილმა, აწ უკვე ვეტერანებში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ელენა ანკუდინოვამ (ყაზახეთი) და ნინო მელაშვილმა 8-8 ქულა მოაგროვეს. უკეთესი კოეფიციენტის გათვალისწინებით გაფრინდაშვილმა ვერცხლის, ანკუდინოვამ კი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მელაშვილს მე-4 ადგილი ხვდა. 7.5 ქულით მე-5 ადგილზე ციალა ქასოშვილი გავიდა, ხოლო თამარ ხმიადაშვილი 5.5 ქულით მე-14 ადგილით დაკმაყოფილდა.

**65 წელს გადაცილებულ კაცებში პირველი-მესამე ადგილები ასე განაწილდა:** 1. ანატოლი ვაისერი (საფრანგეთი), 2. იური ბალაშოვი (რუსეთი), 3. ვიქტორ კუპრეიჩიკი (ბელარუსი). სამივემ 8-8 ქულა მოაგროვა. გიორგი ბიბილაშვილი 6 ქულით 32-ე ადგილს დასჯერდა.

**გივი გაგუა**

◎ კალათბურთი

# ზაზას 9 ქულა

**ზაზა ფაჩულიას „მილუოკი ბაქსმა“ ნბა—ს რეგულარული სეზონის გასვლით მატჩში „ინდიანა პეისერზი“ 87:81 დაამარცხა. ზაზა სასტარტო ხუთეულში არ იმყოფებოდა. 20 წუთში საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტნის მონაგარი 9 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 1 ბლოკი გახლდათ.** ზაზამ 7 შესაძლებლობიდან ოთხი 2-ქულიანი გამოიყენა და 2 საჯარიმო სროლიდან ერთი ჩააგდო. ფაჩულიამ 4 პერსონალური ჯარიმა მიიღო, ხოლო ბურთი 3-ჯერ დაკარგა.

„მილუოკი ბაქსს“ 2 მოგება და 2 წაგება დაუგროვდა. ამ დროისთვის ფაჩულიას გუნდი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილს იკავებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ფეხბურთი

# საშემოდგომო ეტიუდები

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის II წრე ბრიუსელის „ანდერლეხტის“ სპორტული გმირობით დაიწყო. დიახ, სწორედ ასე უნდა შეფასდეს ბელგიელთა მიერ სტუმრად ლონდონის „არსენალთან“ აღმოფხვრილი სამბურთიანი დეფიციტი — 0:3-ის შემდეგ 3:3, რაც ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ისტორიაში მეოთხე ანალოგიური ფაქტია.**

გაოცებას იწვევს დორტმუნდის „ბორუსიას“ მეტამორფოზა — გუნდი, რომელიც ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის გასავარდნ ზონაშია, შთამბეჭდავად თამაშობს ელიტურ საზოგადოებაში და ქულათა მაქსიმუმით უკვე პლეი-ოფის საგზურის მფლობელია. ამჯერად იურგენ კლოპის შეგირდებმა მორიგი სპექტაკლი შინ სტამბოლის „გალათასარაისთან“ დადგეს — 4:1, თუმცა, თურქებს შეუძლიათ თავი იმით დაიმშვიდონ, რომ მასპინძელთა მშრალი სერია შეწყვიტეს.

ასევე უდანაკარგოდ ასპარეზობს მადრიდის „რეალი“, რომელიც ექსპერიმენტული შემადგენლობით ჩასულ „ლივერპულს“ ნახევარი ძალით გაუსწორდა — 1:0 (ბენზემა). რაც შეეხება კრისტიანუ რონალდუს მიერ რაულის რეკორდის დამხობას (71 გოლი), „სამეფო კლუბს“ ამ მოვლენის გადადება მინიმუმ მომდევნო მატჩამდე მოუწევს.

**IV ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები:** „იუვენტუსი“ — „ოლიმპიაკოსი“ 3:2, „მალმე“ — „ატლეტიკო“ 0:2, „ბენფიკა“ — „მონაკო“ 1:0, „ზენიტი“ — „ლეევერკუზენი“ 1:2, „ბაზელი“ — „ლუდოგორეცი“ 4:0.

**გიორგი შოთაძე**

◎ რაგბი

# „ბორჯღალოსნები“ ტონგათი იწყებენ

**ორიოდე დღეც და საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ნოემბრის ტესტების პირველ მატჩს გამართავს — შაბათს, 8 ნოემბერს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ტონგას ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნები“ ამ ორთაბრძოლისთვის „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ემზადებიან, ტონგას მორაგბეები კი „ავჭალის სარაგბო მოედანზე“ გადიან წვრთნას.** ჩვენი გუნდის მომავალი მეტოქე მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-13 ადგილზეა და 2,37 ქულით გვისწრებს. **IRB-ის მსოფლიო რეიტინგით დღეისთვის პირველ-მეთხუთმეტე ადგილებზე არიან:** 1. ახალი ზელანდია (93,15 ქულა), 2. სამხრეთი აფრიკა (90,41), 3. ინგლისი (85,68), 4. ავსტრალია (84,53), 5. ირლანდია (83,44), 6. უელსი (80,70), 7. საფრანგეთი (80,01), 8. შოტლანდია (77,75), 9. სამოა (76,35), 10. არგენტინა (75,97), 11. იაპონია (75,63), 12. ფიჯი (74,58), 13. ტონგა (72,58), 14. იტალია (70,92), 15. საქართველო (70,46).

15 ქულამდე მოგების შემთხვევაში „ბორჯღალოსნები“ 0.937 ქულით გაიმდიდრებენ მონაგარს, თუმცა, კუნძულელებს მაინც ვერ გადაასწრებენ, 15 ქულაზე მეტით მიღწეული წარმატება 1,4 სარეტინგო ქულას შეგვძენს, სტუმრები ამდენივე ქულას დაკარგავენ და კლასიფიკაციაში მათ წინ აღმოვჩნდებით. ცხადია, წაგებაზე არც ვფიქრობთ, ზავის შემთხვევაში კი ყველაფერი უცვლელი დარჩება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენების წინსვლა მარტო „ბორჯღალოსანთა“ მოგებაზე არ არის დამოკიდებული, რადგან ამ დღეს სარეიტინგო მატჩებს სხვა გუნდებიც გამართავენ. მაგალითად, ჩვენ წინ მდგომი იტალია სამოას მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში 1,24 ან 1,864 ქულას მოიმატებს.

**შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ტონგასთან აქამდე ორჯერ ითამაშა:** 1999 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირის რეპეშაჟში სტუმრად 6:37 დავმარცხდით. თბილისში კი კუნძულელებს ერთი ქულის სხვაობით 28:27 ვძლიეთ. მატჩი შაბათს 17 საათზე დაიწყება. **ამ პაექრობისთვის გუნდები ასეთი შემადგენლობით ემზადებიან:**

**საქართველო:** მიხეილ ნარიაშვილი, ზურაბ ჟვანია, დავით ქუბრიაშვილი, სიმონ მაისურაძე, შალვა მამუკაშვილი, ლევან ჩილაჩავა, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, კონსტანტინე მიქაუტაძე, ლაშა ლომიძე, გიორგი ჩხაიძე, ვიქტორ კოლელიშვილი, გიორგი თხილაიშვილი, დიმიტრი ბასილაია, ბექა ბიწაძე, ვაჟა ხუციშვილი, გიორგი ბეგაძე, ლაშა ხმალაძე, ლაშა მალაღურაძე, მერაბ შარიქაძე, სანდრო თოდუა, დავით კაჭარავა, მურაზ გიორგაძე, ირაკლი მაჩხანელი, თამაზ მჭედლიძე, გიორგი აფციაური, ბექა წიკლაური, მერაბ კვირიკაშვილი.

**ტონგა:** სონა ტაუმალოლო, ჰალანი აულიკა, ტევიტა მაილაუ, ტაიონე ვეა, სილა პუაფუსი, ვაეა ტაიონე, პაულა ნგაუამო, ალეკი ლუტუი, ტუკულუა ლოკოტუი, ჯო ტუინეაუ, ლისიატე ფააოსო, ჰალე ტპოლე, ნილი ლატუ, ამანაკი მაფი, ვილიამ ფიჰაკი, მაამა ვაიპულუ, ვილიამი მააფუ, სონატანე ტუკულუა, ტომას პალუ, ტანიელა მოა, ლატიუმე ფოსიტა, კურტ მორატი, ლიუელი სიმოტე, სიონე პიუკალა, სიალე პიუტაუ, ფეტიი ვაინიკოლო, დანიელ კილიონი, ოტულეა კატოა, დავიდ ჰალაფონუა, ვუნგაკოტო ლილო.

**აქვე ნოემბრის ტესტების განრიგსაც გაუწყებთ:**

**8 ნოემბერი. საქართველო** — ტონგა, კანადა — ნამიბია, რუმინეთი — აშშ, იაპონია — მაორები, იტალია — სამოა, ინგლისი — ახალი ზელანდია, უელსი — ავსტრალია, საფრანგეთი — ფიჯი, ირლანდია — სამხრეთ აფრიკა, შოტლანდია — არგენტინა.

**14 ნოემბერი.** სამოა — კანადა.

**15 ნოემბერი.** უელსი — ფიჯი, ტონგა — აშშ, რუმინეთი — იაპონია, ინგლისი — სამხრეთ აფრიკა, შოტლანდია — ახალი ზელანდია, საფრანგეთი — ავსტრალია, იტალია — არგენტინა.

**16 ნოემბერი.** ირლანდია — **საქართველო.**

**21 ნოემბერი.** ფიჯი — აშშ.

**22 ნოემბერი.** ინგლისი — სამოა, შოტლანდია — ტონგა, რუმინეთი — კანადა, საფრანგეთი — ინგლისი, უელსი — ახალი ზელანდია, ირლანდია — ავსტრალია, იტალია — სამხრეთ აფრიკა.

**23 ნოემბერი. საქართველო** — იაპონია

**29 ნოემბერი.** ინგლისი — ავსტრალია, უელსი — სამხრეთ აფრიკა.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ჩოგბურთი

# შემადგენლობა შვეიცარიამაც დაასახელა



**21-23 ნოემბერს დევისის თასის გათამაშების ფინალში საფრანგეთისა და შვეიცარიის ნაკრებები შეხვდებიან ერთმანეთს. ორიოდე დღის წინათ „სამფეროვანთა“ კაპიტანმა არნო კლემანმა თავისი გუნდის შემადგენლობა დაასახელა, გუშინ საღამოს კი შვეიცარიელთა ოთხეულიც გაირკვა. „ჯვაროსანთა“ საჩოგბურთო ეროვნული გუნდის წევრები როჯერ ფედერერი, სტენ ვავრინკა, მარკო ჩუდინელი და მიხაელ ლამერი არიან.**

მოახლოებული ფინალის წინ თავისი აზრი რეიტინგსიის სერბმა ლიდერმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა გამოთქვა: „ფინალში ფავორიტის სტატუსს ვერც საფრანგეთს მივანიჭებ და ვერც შვეიცარიას. ფრანგების უპირატესობა ტრიბუნების მხარდაჭერა და კორტის საფარია, მეორეს მხრივ, ფედერერი და ვავრინკა ბრწყინვალე მოთამაშეები არიან და კოლექტივიზმის გრძნობითაც არიან განმსჭვალულნი. ფაქტია, მეტად საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლა გველის“.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ ფრანგთა ღირსებას ჟო-ვილფრიდ ცონგა, ჟილ სიმონი, გაელ მონფისი და რიშარ გასკე დაიცავენ.

დევისის თასის ფინალი ლილის „პიერ მორუას“ საფეხბურთო სტადიონზე ჩატარდება. ამ არენის ტრიბუნები 27 ათას გულშემატკივარს იტევს.

**კობა კობახიძე**

◎ ინტერნეტიდან

# მარადონას ყოფილი სატრფო გაცოფებულია

**ოჰოჰოჰოოო, რომ იცოდეთ, როგორი გაბრაზებულია დიეგო მარადონას ერთ-ერთი უკანასკნელი სატრფო, მოდელი და ყოფილი მსახიობი როსიო ოლივა... ამას გაბრაზებაც კი აღარ ჰქვია. ამას მხოლოდ გაცოფება და „პირიდან ცეცხლის ფრქვევა“ შეიძლება ეწოდოს...**

მას შემდეგ, რაც დიეგო მარადონა როსიოს დაშორდა, პუტკუნა არგენტინელმა ვარსკვლავმა თავის სატრფოყოფილს დროებით მფლობელობაში გადაცემული ბინა და მანქანაც ჩამოართვა და როგორც შემდგომში გაირკვა, წინდახედულ მარადონას შეყვარებულისათვის ნაფეშქაშები ძღვენი ყოველი შემთხვევისათვის მაინც საკუთარ თავზე ჰქონდა გადაფორმებული.

აშკარაა, რომ ბობოლა მარადონას ქონებაზე თვალებდაჭყეტილმა როსიომ ვერ გათვალა, მარადონაც კაი მაგარი „გაცვეთილი“ რომ იქნებოდა და დიეგოს მოტყუება არც ისე ადვილი ამბავი რომ იყო. „ჩამოლაბორანტებულ“ როსიოს ახლა ისღა დარჩენია, ყველა ინტერვიუში მარადონა წყევლოს და გააქილიკოს, მაგრამ ამით რა იცვლება?!...

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ დედაქალაქი

# „სავაჭრო ზონებში“ მოყოლილი ავტოსადგომები და ტროტუარები

**თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახური დედაქალაქის მოსახლეობის მიმართ პირდაპირ, დაუფარავ შეტევაზე რომ არის გადასული, ამას, ვფიქრობთ, ბევრი მტკიცება სულაც არ სჭირდება. მაგრამ ვინმეს მაინც ეჭვი თუ ეპარება, ვურჩევთ ქალაქის ცენტრში ავტოსადგომებად და სავაჭრო ტერიტორიებად გადაქცეულ ტროტუარებს მიაქციოს ყურადღება.**

ცოტა ხნის წინათ ჩვენს პუბლიკაციაში აღშფოთებას გამოვთქვამდით იმის გამო, რომ დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვიდრე წერეთლის პროსპექტის დასაწყისში ბაზრობამდე, სადაც უწინ ამ უბანში ავტომანქანების ერთადერთი სადგომი იყო, სავაჭრო ჯიხურების ჩადგმა დაიწყეს. დაიწყეს და აკი დაამთავრეს კიდეც, მუშაობა გაახურეს ჯიგრიანად...

თუმცა, როგორც ახლა დავრწმუნდით, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე ავტოსადგომის ვაჭრობის ზონად გადაქცევა მერიის ერთგვარი „არქიტექტურულ მოთელვად“ უნდა მივიჩნიოთ იმასთან შედარებით, რაც მისმა „ქალაქთმმწყობებმა“ სადგურის მოედანზე მოაწყვეს.

მოგეხსენებათ, ყველა დიდ ქალაქში, სარკინიგზო სადგურების მოედნები მუდამ განსაკუთრებულად ხალხმრავალია დღე-ღამის უმეტეს ნაწილში. გამონაკლისი ამ მხრივ, ცხადია, არც თბილისის სადგურის მოედანია, სადაც უამრავ ხალხთან ერთად აუარება საზოგადოებრივი, სამარშრუტო თუ კერძო ავტოტრანსპორტი მოძრაობს. ამ ავტომანქანების მგზავრებს თუ მფლობელებს აქ ქვეყნის საქმე აქვთ, ამდენად, ბუნებრივია, მანქანების გასაჩერებელი თავისუფალი ადგილების გამუდმებული დეფიციტია. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ამბავი თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში სულაც არ ადარდებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზედ მოედანზე, მეტროპოლიტენის სამმართველოს წინ, ისევე, როგორც მანამდე წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, ყოფილი ავტოსადგომის ადგილზეც ახალი სავაჭრო მწკრივის გაშენების უფლებას არავისზე არ გასცემდნენ. მაგრამ, ფაქტია, რომ ახალმა ჯიხურებმა არა მარტო აწ უკვე ყოფილი ავტოსადგომის ტერიტორია, არამედ **მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის** განკუთვნილი ტროტუარის დიდი ნაწილიც დაიკავეს და ახლა იქ მოძრავი ხალხი ერთმანეთს გვერდს, ფაქტობრივად, ვეღარ უქცევს. თანაც, თავს გასული, უკვე ადგილდამკვიდრებული მოვაჭრეები არც ამით კმაყოფილდებიან და თავიანთი საქონელი ჯიხურების წინ გამოაქვთ სახელდახელო დახლებზე(!!). განა რა განსხვავებაა ახლა მათსა და იმ გარემოვაჭრეთა შორის, რომლებიც მანამდე ზუსტად აქ იყრიდნენ თავს და რომლებსაც პოლიცია დროდადრო „ანგელოზებს უფრთხობდა“, სხვა დროს კი თვალებმოჭუტვით ზანტად აყურადებდა, ვინმე „უცხო“ არ გამორეოდათ...

არც ეს იკმარეს თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურისკენ მიმავალი გზების კვაჭმა მძებნელებმა და იგივე „ფოკუსი“ უწინდელი სასტუმრო „კოლხეთის“ გვერდით, ყოფილ ავტოსადგომზე ზუსტად იმავე მეთოდით გაიმეორეს. აქ, მართალია, ვაჭრობა ჯერ არ გაჩაღებულა, რადგან სამშენებლო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები ბოლომდე არ დასრულებულა, მაგრამ, იმედია, უახლოეს დღეებში ეს „ხარვეზიც“ „გამოსწორდება“.

აზარტული ხალხისთვის კი მაღაზია „ბავშვთა სამყაროს“ წინ საზრიანმა ხალხმა სულაც ახალი ტოტალიზატორის „ფორტუნას“ სრულიად უსახური შენობა ჩადგა, ცხადია, ისიც ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ტროტუარზე. თუმცა, ამ შენობის დანიშნულება ის კი არ არის, რომ ხალხი მისით ტკბებობდეს, არამედ მოგება მოჰქონდეს.

სიმართლე გითხრათ, წერილის დაბოლოებაზე ცოტა ხანი კი დავფიქრდი, მაგრამ მერე მივხვდი, განა რისი თქმა შეიძლება კიდევ? რა, მოქალაქეობრივი სინდისის არსებობა შევახსენო უზნეო ჩინოსნებს და ხარბ ხალხს თუ თბილისის სიყვარული ვასწავლო?

ამას, სამწუხაროდ, ჩემი შეძახილი ვერ უშველის.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

---

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩევლის ვასილ ბაბუნაშვილის მამა**

**ვასილ ბაბუნაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, პეტრე ბერაია, თენგიზ კალანდაძე თანაუგრძნობენ გრიშა ონიანს მეუღლის**

**ლიანა იამანიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ნოდარ, გივი, ელდარ ემუხვარები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გვარის ღირსეული წარმომადგენელი**

**ნაპო ემუხვარი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**პროფესორ მინდელის საძმოს წევრები დემურ მიქაძე, ივიკო საყვარელიძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, დათო დათოშვილი, თამაზ ცინცაძე, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, გურამ ახრახაძე, მერაბ მახარაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, რევაზ თევზაძე თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ გრიშა ონიანს მეუღლის**

**ლიანა იამანიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საზოგადოება „ლეჩხუმი“ ყველა ლეჩხუმელის სახელით თანაგრძნობას უცხადებს ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსს, მეუფე სტეფანეს ძვირფასი**

**დედის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ნუნუ გულუას ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ნანა და მინდია გულუებს დედის, უსათნოესი ქალბატონის**

**ნელი ჩილაჩავა-გულუას**

**გარდაცვალების გამო.**

---

◎ ინფორმაცია

## პრობლემურ მშენებლობებთან დაკავშირებით სპეციალური კომისია შეიქმნება

**— ამის შესახებ დავით ნარმანიამ განაცხადა. მისივე თქმით, არის სადავო მშენებლობები, მოუგვარებელი პრობლემები მშენებლობის ვადების გაგრძელების ან შეჩერების, ასევე მშენებლობის წესებისა და ნორმების დარღვევების შესახებ. დავით ნარმანია მიიჩნევს, რომ ეს საკითხები გადასაწყვეტად ხშირად რამდენიმე უწყების ერთობლივ მსჯელობას საჭიროებენ, ამიტომ, ამ მიზნით, ნარმანიას თქმით, მიზანშეწონილია შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელსაც თავად დედაქალაქის მერი უსელმძღვანელებს.**

**„ისეთი გადაწყვეტილებების მიღება მოხდება, რომელიც ინვესტორს არ დააზიანებს და გათვალისწინებული იქნება ქალაქის ინტერესები“, — აღნიშნა დავით ნარმანიამ.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 568 82-09-84..

---

◎ გაითვალისწინეთ!

# ნოემბრის აქტიური პროცესები

**ნოემბერში** გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 7, 10, 14, 15, 17, 19, 21-26, 29 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის გაზრდა, სეისმოაქტივობისა და დაძაბულობის გაძლიერება სოციუმში.

**7 — სამშაბათი.** შესაძლებელია ემოციური აღგზნება და შეშფოთება. მწვავდება ქრონიკული დაავადებანი, მოსალოდნელია არტერიული წნევის ვარდნები, სტენოკარდიის შეტევები, უძილობა. ერიდეთ საყლაპავი მილის, ბრონქების, სისხლისა და ნერვული სისტემის დაავადებებს, საკვებით მოწამვლას. რეკომენდებულია, არ დავგეგმოთ სავსე მთვარის დროს ოპერაციები და აცრები. დაიცავით ზომიერება კვებაში. ხელსაყრელი დროა სწავლისთვის, შემოქმედებითი საქმიანობისთვის, მეგობრული შეხვედრებისა და მოლაპარაკებისთვის.

**14 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარის შეერთება იუპიტერთან ლომში.** განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ გულსა და სისხლძარღვებს. შესაძლებელია ტკივილები ზურგში, ღვიძლის, კანის დაავადებანი, უძილობა. აუცილებელია, უარი ვთქვათ ზედმეტ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვაზე, ვერიდოთ სტრესებს, სასარგებლოა დიეტური კვება, ჰაერის აბაზანები, მსუბუქი გასეირნება, სრულფასოვანი ძილი.

**21 — მთვარის მერკურთან შეერთება ღრიანკალში.** შესაძლებელია შარდსასქესო სისტემების მოშლა, გარეგანი და შინაგანი სასქესო ორგანოების, სწორი ნაწლავის დაავადებანი. დაავადებებს შეიძლება ჰქონდეთ ინფექციური ან ანთებითი ხასიათი. ერიდეთ გაციებას, ნუ გამოიყენებთ ალკოჰოლს, ცხარე და ცხიმიან საკვებს, კონტროლზე აიყვანეთ ემოციები.

**22 — მზე გადადის მშვილდოსნის ნიშანში, ახალი მთვარე, მთვარის შეერთება სატურნთან ღრიანკალში.** საალბათოა შარდსასქესო სფეროს დაავადებანი, საყრდენ-მოძრავი აპარატის, ართროზის, ართრიტისა და რევმატიზმის გამწვავება. ერიდეთ ტრავმატიზმსა და გაციებას, უარი თქვით ცხიმიან და ცხარე საკვებზე, ალკოჰოლზე. ამ დღეს სასურველი არ არის ოპერაციები, აცრები, ახალი საქმეების წამოწყება და გეგმების აგება.

**23 — მთვარის შეერთება ვენერასთან მშვილდოსანში.** არ არის გამორიცხული ფილტვების, სისხლის, ფარისებრი ჯირკვლისა და ნერვული სისტემის დაავადებათა გამწვავება. სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები, მასაჟი, მეცადინეობა სპორტში, გასეირნება. რეკომენდებულია ამოვიღოთ ცხიმიანი და მძიმე საკვები, ალკოჰოლი, ვერიდოთ ტრავმატიზმსა და გაციებას. ხელსაყრელი დროა კონტაქტების მოწესრიგებისთვის, საკუთარი თავის მოვლა და სახლის დალაგება, მივმართოთ ხელოვნებას და სწავლას.

**25 — მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რძაში.** დიდია ძვლებისა და სახსრების დაავადებათა გამწვავების ალბათობა, მოსალოდნელია პრობლემები თირკმლებთან და ნაღვლის ბუშტთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული შარდსასქესო ორგანოების დაავადებანი. გამორიცხეთ მძიმე ფიზიკური დატვირთვები, ერიდეთ ტრავმატიზმს, გაციებას, ინფექციებს. სასარგებლოა გამაჯანსაღებელი პროცედურები.

**26 — მთვარის შეერთება მარსთან თხის რძაში.** შესაძლებელია თავის ტკივილები, რევმატიზმის, ართრიტისა და ართროზის გამწვავება, ანთებითი პროცესები სახსრებში. არ არის გამორიცხული მწვავე ინფექციური დაავადებანი, მაღალი ტემპერატურა, ტრავმები, სისხლდენა... ერიდეთ გაციებას, ტრავმატიზმს, სხეული გქონდეთ სითბოში. გამორიცხეთ მძიმე ფიზიკური დატვირთვები. სასარგებლოა ტანვარჯიში და გასეირნება.

◎ ჩვენი კარაბადინი

# აფთიაქი სახლში

## წამლის ყიდვისა და შენახვის წესები

**ზოგიერთ ჩვენგანს წამალი, ვაი რომ, სჭირდება ყოველდღე, ზოგს კი — შემთხვევასთან დაკავშირებით. სად შეიძლება ვიყიდოთ იგი უფრო იაფად, უკეთ როგორ შევინახოთ სახლში, რა ფორმით მიღებაა უფრო მოსახერხებელი?**

### რა, სად, რა ფასად?

სხვადასხვა აფთიაქში წამლები სხვადასხვა ფასად იყიდება. თანაც სხვაობა მეტად არსებითია: ერთსა და იმავე პრეპარატზე ფასის სხვაობა შეიძლება 10-12 პროცენტი იყოს, შეიძლება მეტიც. როგორ არ გადავიხადოთ ზედმეტი საჭირო პრეპარატზე? აი რამდენიმე არც თუ რთული ხერხი.

**მონახეთ აფთიაქი, სადაც არის ფასდაკლება სოციალური დაზღვევით.** თუ წამალი ძვირია და გიწევთ მისი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიღება, ეკონომია საგრძნობია.

**მოახდინეთ მეგობრებთან ან კოლეგებთან კოოპერირება და შეუკვეთეთ წამლები ინტერნეტით.** ფასში მოგება ხშირად არსებითია. თუმცა, არის ნიუანსი: უფასო მიტანა იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთას აძლევთ გარკვეულ თანხაზე. სწორედ ამიტომ უნდა გაერთიანდეთ და გააკეთოთ საერთო დაკვეთა ყველასთვის.

**ნუ უგულებელყოფთ აქციებს.** სახლთან ახლო აფთიაქთან ჩავლის დროს, შეხედეთ რა არის ვიტრინაში. თითქმის ყველგან პერიოდულად ეწყობა ფასდაკლებანი საქონელზე. ასე გაცილებით იაფად შეიძლება შეიძინო ზოგიერთი წამალი, ჰიგიენის, კოსმეტიკის საშუალებები.

### ადგილი და დრო

წამალი არა მხოლოდ უნდა იყიდო, არამედ შეინახო კიდეც, და აქაც არის თავისი წესები. მაგალითად, პრეპარატები ფხვნილით და აბები არ შეიძლება გვქონდეს აბაზანის ან სამზარეულოს კარადებში — ისინი ადვილად იწოვენ ნოტიო აორთქლებას და ფუჭდება. წვეთების, მიქსტურების, სანთლების შენახვისთვის მნიშვნელობა აქვს ტემპერატურას. საუკეთესოა, თუ იგი არ იქნება პლუს 8-10 გრადუსზე ზევით — ეს მაცივრის კარის შუა ან ქვედა თაროებია. აი საცხები და გელი ოთახის ტემპერატურას ითხოვენ — უფრო დაბალ ტემპერატურაზე ისინი იყინებიან და თანდათანობით ფუჭდებიან.

მაგრამ ყველა წესს აქვს გამონაკლისი, და შეცდომები რომ თავიდან ავიცილოთ, აუცილებლად უნდა ვიკითხოთ ყოველი პრეპარატის ინსტრუქცია. სხვათა შორის, არასოდეს გადააგდო წამლის შეფუთვა. ბევრი პრეპარატი არ კარგავს ფერს — და მუყაოს კოლოფი მათთვის დამატებითი დაცვაა. წვეთებისა და საცხების გამოყენების შემდეგ აუცილებლად მაგრად მოუჭირეთ სახურავი — ჰაერის შეღწევის გამო წამალი ფუჭდება.

კარგია, თუ სახლში გვექნება აბების ყუთი-კონტეინერი, იმ აბების, კაფსულების შესანახად, რომლებიც დღის განმავლობაში უნდა მივიღოთ. ასეთი სათავსოები არის ერთდროული და ერთკვირეული. მათში შეიძლება ჩადო აუცილებელი პრეპარატი მთელი შვიდი დღით. უმჯობესია, ასეთი ყუთი ვიყიდოთ ტაიმერით (მუშაობს ბატარეაზე), რომ არ დავივიწყოთ წამლის მიღება დროულად.

### ფორმითა და არსით

**რომ ვიმკურნალოთ იოლად და ეფექტიანად, დიდი მნიშვნელობა აქვს, გავითვალისწინოთ პრეპარატის ამა თუ იმ ფორმის გამოყენების მოხერხებულობა. ყველა დედამ იცის: უფრო იოლია მისცე ბავშვს სიროფი ან წვეთები და ჩაუდგა სიცხის დამწევი სანთლები, ვიდრე აიძულო გადაყლაპოს აბი. მაგრამ მოზრდილებსაც შეუძლიათ იმკურნალონ ამავე პრინციპით.** ბანალური მაგალითი: თავის მომაბეზრებელი ყელში გამოვლება შეიძლება შევცვალოთ შემწოვი აბებით, აბები — წვეთებით. მაგრამ არის სერიოზული მიზეზები პრეპარატის ამა თუ იმ ფორმის შერჩევის სასარგებლოდ. ვთქვათ, მათ, ვისაც სტენოკარდია აწუხებს, ჩვეულებრივად ყოველთვის აქვთ თან ნიტროგლიცერინი. მაგრამ ბევრმა როდი იცის: ეს პრეპარატი აბის სახით უფრო სწრაფად მოქმედებს. ან, მაგალითად, დღეს ჰორმონალურ პრეპარატებს უშვებენ მრავალფეროვანი სალბუნის ფორმით, თანაც პროლონგირებული მოქმედების სახით, ამიტომ თანმდევი ეფექტები მკვეთრად ეცემა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს: ამა თუ იმ სამკურნალო ფორმის არჩევანი ყოველთვის ექიმს უნდა დავუტოვოთ, რომელმაც იცის პაციენტის თავისებურანი და ღებულობს გადაწყვეტილებას და რომელიც ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდება კონკრეტულ სიტუაციაში.

◎ მკურნალი წინდები

## ფეხების ტკივილი გაწუხებთ?

**თურქეთის ლიცენზირებული ფირმა „POLAT“-ი ფეხების ტკივილისგან თავის დასაღწევად უნიკალური თვისებების მქონე სპეციალურ წინდებს გთავაზობთ.**

**ყველა ტიპის დიაბეტის, გულის სისხლძარღვთა და კანის სხვადასხვა ინფექციით გამოწვეული ფეხის დაავადებათა მკურნალობისას საგანგებო წინდები შეუცვლელი და უებარი საშუალებაა! ასეთი წინდები მისწრებაა იმათთვის, ვისაც ხანგრძლივი დროით ფეხზე დგომა ან გადაადგილება უწევს, აქვს კოჟრები, სოკოვანი დაავადებები, ოფლიანობა და სპეციფიკური სუნი!**

**წინდები ჩვეულებრივად ნელ-თბილ წყალში ირეცხება, მიზანშეწონილია მათი მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტარება.**

**შესაძენად დარეკეთ 299-62-77 (გ. ახვლედიანის 19), იკითხეთ კუკური.**

◎ იცოდით?

# შაქარი ციფრებსა და ფაქტებში

**შაქარი — ეს საქაროზის საყოფაცხოვრებო სახელია. საქაროზა განეკუთვნება ნახშირწყლებს, რომლებიც ორგანიზმს აუცილებელი ენერგიით უზრუნველყოფენ.**

ევროპაში შაქარს ჯერ კიდევ ძველ რომში იცნობდნენ. მას შაქრის ლერწმის წვენისგან ამზადებდნენ და ინდოეთიდან შემოჰქონდათ.

XIX საუკუნის შუა პერიოდიდან ევროპაში შაქრის წლიური მოხმარება ერთ ადამიანზე წელიწადში 2 კილოგრამს შეადგენდა, 1920 წელს — 17 კილოგრამს, 2000 წელს — 37 კილოგრამს.

ამჟამად შაქარს ამზადებენ შაქრის ლერწმისგან (დიდ ნაწილს მსოფლიოში), შაქრის ჭარხლისგან, შაქრის ნეკერჩხლის წვენისგან, ქოქოსის, ფინიკის და სხვა პალმების წვენისგან, სორგოს ღეროებისგან.

**მსოფლიოში შაქრის უდიდეს მწარმოებელთა ხუთეულში შედიან ბრაზილია, ინდოეთი, ევროკავშირი, ჩინეთი და ტაილანდი.**

ერთ სულ მოსახლეზე შაქრის ყველაზე დიდი მოხმარებაა ბრაზილიაში, მას მოსდევენ ავსტრალია, ტაილანდი და ევროკავშირი.

**შაქრის ფხვნილის შენახვის ვადა იმ შენობებში, რომლებიც თბება — 8 წლამდეა, რომლებიც არ თბება — 1,5-4 წელი.**

შაქარს სამზარეულოს გარდა, ბევრ რამეში იყენებენ: წამლების წარმოება, ცემენტის გამაგრების შესანელებლად, წყალში დამატებული შაქარი უხანგრძლივებს სიცოცხლეს ახალდაკრეფილ ყვავილებს, იყენებენ პრინტერებისათვის მელნის წარმოების დროს.

**1. ჩაის კოვზი — 4 გრამი შაქარი უდრის 16 კილოკალორიას.**

ხანდაზმულ ასაკში შაქრის ზედმეტი მოხმარება არღვევს ცხიმების ცვლას, მივყავართ სისხლი ქოლესტერინისა და შაქრის დონის გაზრდასთან.

ცდებმა ვირთხებზე გვიჩვენა, რომ შაქარი იწვევს დამოკიდებულებას, რომელიც ჰგავს იმას, რაც ჩნდება კოკაინის, მორფიუმის ან ნიკოტინის ზემოქმედებით.

**1843 წელს ჩეხეთში გამოიგონეს შაქარი — რაფინადი კუბიკების ფორმით.**

◎ ანეკდოტები

**— ჩემო** კარგო, როგორც ვატყობ, თქვენ სმის მოყვარული ბრძანდებით, — ეუბნება ექიმი ავადმყოფს.

— არა, ექიმო. ეს თქვენა ხართ მოყვარული. მე პროფესიონალი ვარ.

* * *

**— დაშა,** რას აკეთებ დღეს საღამოს? ოღონდ რაიმე ცუდზე ნუ იფიქრებ, ხოლო, თუ იფიქრებ, მაშინ... როგორ მოგწონს იდეა?

* * *

**— ნატაშა,** ასე როგორ ღალატობ საკუთარ ქმარს?

— როგორც ყველა. შენ რა, ღალატის სხვანაირი ფორმა იცი?

**— დედი,** ამ უმადურს ისევ არ სურს ბრინჯის ჭამა!

— შვილო, შენც აუხსენი, როგორ წვალობდი მისი ხარშვისას!

— ხარშვისას? რაო, ბრინჯი უნდა მოიხარშოს?!

* * *

**— შვილო,** იქნებ მაღაზიაში გამეგზავნო?

— ჯადოსნური სიტყვა სად არის?

— ინტერნეტს გამოგირთავ!

— უკვე გავრბივარ!

* * *

**— მიხო,** რად დაკალი ასეთი პატარა გოჭი?! მას ხომ ხორციც არა აქვს, ცარიელი ძვალი და ტყავია!

— მე დავკალი? მეტი საქმე არა მქონდა, რო? თვითონ მოკვდა!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24